

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №508

2015 წლის 24 სექტემბერი

ქ. თბილისი

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ამოქმედების, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-9 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს ამ დადგენილებით დამტკიცებული სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა

თავი I

ზოგადი დებულება

მუხლი 1. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის არსი და მიზანი

1. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა (შემდგომ - ეროვნული გეგმა) წარმოადგენს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის (შემდგომ - ერთიანი სისტემა) ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას.

2. ეროვნული გეგმა საზღვრავს:

ა) საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, მათ მოცულობას, განხორციელების წესსა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ ძირითად და დამხმარე სუბიექტებს არსებული ძალებისა და საშუალებების, სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით;

ბ) საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მისთვის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების წარმართვის წესს.

3. ეროვნული გეგმის მიზანია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტების ორგანოების და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობის წარმართვა სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად ეროვნულ დონეზე.

მუხლი 2. ეროვნული გეგმის რეგულირების სფერო

1. ეროვნული გეგმა არეგულირებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ამოცანების გადაწყვეტისას საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტების ორგანოების და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების თანამშრომლობასა და თანამოქმედებას.

2. ეროვნული გეგმის ღონისძიებათა რეგულირების ძირითადი მიმართულებებია:

ა) საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მართვის ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია და სახელმწიფო ხელისუფლების და ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლის, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტების ორგანოების, ორგანიზაციების მზადყოფნა, ასევე საერთაშორისო დახმარებების სახით მოზიდული რესურსების მობილიზების ორგანიზება;

ბ) საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მიტიგაციის, მათზე რეაგირების (მათ შორის, ხანძრის ჩაქრობის), საგანგებო ვითარებების შეფასების, საავარიო-სამაშველო, სამაშველო და სხვა გადაუდებელი, ასევე ადამიანთა ძებნისა და აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება და კოორდინირება;

გ) მართვის პუნქტების, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სისტემის მუდმივი მზადყოფნა, მოსახლეობის თავშესაფრებში განთავსება, აგრეთვე სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური დაცვისათვის გამიზნული სხვა ღონისძიებების ჩატარება, საგანგებო სიტუაციების ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაცია, განთავსება და სასიცოცხლო უზრუნველყოფა;

დ) ცხოველების, მცენარეების, სურსათის, წყალსაცავებისა და წყალმომარაგების სისტემების დაცვა რადიოაქტიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დაბინძურებისაგან (დასწავლისაგან), მასობრივი მოწამვლებისა და დაავადებათა კონტროლი;

ე) ტყის ხანძრების ქრობის ორგანიზება.

მუხლი 3. ეროვნულ გეგმაში გამოყენებული ტერმინები

ეროვნული გეგმაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.

მუხლი 4. ეროვნული გეგმის ამოცანა

ეროვნული გეგმის ძირითადი ამოცანაა საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოსა და ეკონომიკის ობიექტების დაცვა, მატერიალური ზიანის შემცირება, საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობის დაცვა, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მუხლი 5. საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმები

ეროვნული გეგმა ეფუძნება ერთიანი სისტემის სუბიექტების საგანგებო მართვის გეგმებსა და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმებს.

სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოსთან - შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით, უწყების (სამინისტროს) დარგობრივ საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმებს ამტკიცებს შესაბამისი უწყების (სამინისტროს) ხელმძღვანელი.

შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, მუნიციპალიტეტების ორგანოების საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმებს ამტკიცებს შესაბამისი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების მეთაურები, სახელმწიფო რწმუნებულები - გუბერნატორები და მუნიციპალიტეტების ორგანოების ხელმძღვანელები.

შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებით, ორგანიზაციის საგანგებო მართვის გეგმას ამტკიცებს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

თავი II

მზადყოფნა

მუხლი 6. მზადყოფნის ღონისძიებების უზრუნველყოფა

1. მზადყოფნის ღონისძიებებს უზრუნველყოფენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტების ორგანოები და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები.

2. მზადყოფნის ღონისძიებები გულისხმობს მომზადების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფას და ამ პროცესის კომპლექსურ კონტროლს მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის წინასწარ განსაზღვრისა და მასზე დაუყოვნებლივ რეაგირებისათვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნის მიზნით.

3. მზადყოფნის ღონისძიებებია:

ა) საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინების (ადრეული შეტყობინების) უზრუნველყოფის ღონისძიებების ორგანიზება;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტების ორგანოების და ორგანიზაციების საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სწავლება;

გ) სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშები: სამაგიდო ანუ სამეთაურო-სამტაბო ვარჯიში, კომპლექსური ვარჯიში და ტაქტიკურ-სპეციალური ვარჯიში;

დ) მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის სწავლებები და მოსახლეობის ინფორმირება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;

ე) პროფესიონალი მეხანძრე-მაშველებისა და მაშველების გადამზადება და აღჭურვა;

ვ) სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტების მომზადება;

ზ) საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მატერიალური რეზერვების მარაგის შექმნა.

4. თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალებისა და მოსახლეობის მომზადებას უზრუნველყოფენ, საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციების და მუნიციპალიტეტების ორგანოები, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, დადგენილი წესით შემუშავებული და შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული პროგრამებით.

5. საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციებში ქცევისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულებები დადგენილი წესით შემუშავებული და შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული პროგრამებით.

6. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გამოცემებით, სპეციალური ლიტერატურით, სარეკლამო პროდუქციით, თემატური გამოფენების, ჩვენებებისა და კონფერენციების მოწყობითა და მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმებით.

7. სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშების თემები უნდა ითვალისწინებდეს როგორც მშვიდობიან დროს, ისევე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდში მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციებს. შესაბამისად, თემატიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) პერსონალისა და მოსახლეობის თავშესაფრებში განთავსება;

ბ) პერსონალისა და მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზება;

გ) სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური დაცვისათვის გამიზნული ღონისძიებების ორგანიზება;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ე) პერსონალისა და მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და უსაფრთხო ქცევის წესების დაცვა.

8. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობისათვის მიწოდებული ინფორმაცია მოიცავს:

ა) პროგნოზირებადი და წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ მონაცემებს და მისი გავრცელების საზღვრებს;

ბ) საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს შესახებ მონაცემებს, ავარიის დროს - რისკის ხასიათის, ადამიანსა და გარემოზე ავარიის ზემოქმედების შესაძლებლობის შესახებ მონაცემებს;

გ) საგანგებო სიტუაციის შედეგებს;

დ) საგანგებო სიტუაციებში ქვევის წესებს;

ე) მოსახლეობის დასაცავად განხორციელებულ ღონისძიებებს და მიღებულ ზომებს.

მუხლი 7 . მზადყოფნის ღონისძიებების ჩატარების წესი

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სწავლება ტარდება, შესაბამისი საგანგებო მართვის გეგმების, შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამებისა და სწავლების გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

2. სამეთაურო-სამტაბო (სამაგიდო) სწავლება ტარდება:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა, ქ. თბილისის მერიის და შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციებში ყოველ წელს 2-3 დღე-ღამის განმავლობაში;

ბ) მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა) ორგანოებში ყოველ წელს 1-2 დღე-ღამის განმავლობაში.

3. კომპლექსური ვარჯიში ტარდება: ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის მერიის და შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციების, თვითმმართველი ქალაქების და მუნიციპალიტეტების ორგანოებში სამ წელში ერთხელ 2-3 დღე-ღამის განმავლობაში.

4. ტაქტიკურ-სპეციალური ვარჯიში ტარდება რეაგირების დანაყოფებთან და არასამტატო ფორმირებებთან ყოველწლიურად 6-8 საათის განმავლობაში.

5. სამეთაურო-სამტაბო სწავლებები და კომპლექსური ვარჯიშები ტარდება შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან ერთობლივად.

6. შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სტრუქტურული დანაყოფების მეხანძრე-მაშველებისა და მაშველების მომზადება ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის მომზადების პროგრამით“.

7. შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს მაშველთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები შედგება ძირითადი კომპონენტებისაგან:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო მომზადება, რომელიც გულისხმობს სასწავლო სახანძრო წვრთნების ჩატარებას სულ მცირე 6 თვეში ერთხელ, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმის შესაბამისად, ძალებისა და საშუალებების ჩართვით;

ბ) სამედიცინო გადამზადება ტარდება სულ მცირე თვეში ერთხელ. იგი ითვალისწინებს პირველი დახმარების აღმოჩენის პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას ადამიანთა ძეხვის, სამაშველო და საავარიო-სამაშველო სამუშაოების დროს;

გ) მთაში სამაშველო გადამზადება ტარდება სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ. იგი ითვალისწინებს ისეთი ჩვევების გამომუშავებას, რომელიც ალპინისტური ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენებით, წლის ნებისმიერ დროს, მთის ნებისმიერ რელიეფზე, ღრმა ხეობაში გადაადგილების და მღვიმეში ჩაშვების საშუალებას იძლევა (სპელეო მომზადება);

დ) წყალზე სამაშველო გადამზადება ტარდება სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ. იგი ითვალისწინებს წყალზე სამაშველო ოპერაციების დროს ქცევის, საწყალოსნო საშუალებების ექსპლუატაციისა და ცურვის უსაფრთხოების წესების ცოდნას, ასევე, წყალზე დაშვებულთა გადარჩენისა და მათთვის პირველადი დახმარების გაწევის თავისებურებებს. განსაკუთრებული კი, წყალზე მოქცევისა და უსაფრთხოების წესების შესწავლას მდინარეზე სამაშველო ოპერაციების შემთხვევაში. სასწავლო პროგრამის ცალკეული ნაწილები უნდა შემუშავდეს ადგილზე არსებული ტექნიკური აღჭურვილობისა და ადგილობრივი აკვატორიის გათვალისწინებით;

ე) მყვინთავების გადამზადება ხდება მინიმუმ ნახევარ წელიწადში ერთხელ, მყვინთავებისა და მყვინთავ-სპეციალისტების მომზადებაზე ლიცენზირებულ სპეციალურ სასწავლო ცენტრებში ხელშეკრულების საფუძველზე, მყვინთავის კვალიფიკაციის დადასტურების მიზნით მინიმალური ჩათვლების ჩაბარებით;

ვ) ტექნიკური გადამზადება ტარდება სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ. იგი ითვალისწინებს ავტოტრანსპორტის სწორი ექსპლუატაციის, საავარიო-სამაშველო მოწყობილობების და აღჭურვილობის, კავშირის საშუალების, ასევე მათი შესაძლო უწყისობის ოპერატიულად აღმოფხვრის შესწავლას და ახალი სახის ავარიული სამაშველო ინსტრუმენტისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის წესის ათვისებას;

ზ) ქიმიურ, რადიაციულ და ბიოლოგიურ ინციდენტებზე სამაშველო გადამზადება ტარდება სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ. იგი ითვალისწინებს კონკრეტული სახის დამცავი და საიდენტიფიკაციო მოწყობილობასთან მუშაობის, ასევე, რადიაციულ, ქიმიურად საშიშ ნივთიერებებთან და სახიფათო ბიოლოგიურ პათოგენებთან მუშაობისათვის აუცილებელი უსაფრთხოების წესების ცოდნის განახლებასა და სრულყოფას;

თ) კინოლოგიური გადამზადება ტარდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. იგი ითვალისწინებს სპეციალურად გაწვრთნილი ძალების საშუალებით დაზარალებულთა და გარდაცვლილ ადამიანთა აღმოსაჩენად სამოქმედო უნარების შესწავლას

ი) ფიზიკური გადამზადება (მეცადინეობა) უნდა ჩატარდეს კვირაში ორჯერ, ორ-ორი სასწავლო საათის ხანგრძლივობით. იგი ითვალისწინებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ვარჯიშებით ფიზიკური ამტანიანობის განვითარებას, ასევე, დიდი ფიზიკური

დატვირთვის და ფსიქოლოგიური დაძაბულობის გადატანის შესაძლებლობას. ყოველწლიურად ორგანიზება უნდა ჩაუტარდეს სპორტულ ღონისძიებებს.

კ) საგანგებო სიტუაციების (სატრანსპორტო კატასტროფები, ნანგრევებში საძიებო-სამაშველო სამუშაოები) დროს საძიებო-სამაშველო ოპერაციების წარმოების მიზნით, მეხანძრე-მაშველთა და მაშველთა გადამზადება (მეცადინეობა) უნდა ჩატარდეს სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ.

8. ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების (მოსწავლეების) გადამზადება ითვალისწინებს მათთვის საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების გამომუშავებას, მათი შრომითი და საწარმოო-ტექნოლოგიური უსაფრთხოების ამაღლებას. ასევე, ომის პერიოდში, მოსახლეობისა და და მატერიალური რესურსების დაცვისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა (სამაშველო ფორმირებების) და შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ურთიერთმოქმედების გაუმჯობესებას. ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების (მოსწავლეების) სწავლება ხდება უშუალოდ ადგილზე, სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამების მიხედვით.

9. სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტების მომზადება ხორციელდება სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გეგმის (წესის) და შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად.

თავი III

საგანგებო დახმარების ფუნქციები

მუხლი 8. საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მიტიგაციის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა

1. საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მიტიგაციის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა ხორციელდება 17 საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოქმედებით.

2. თითოეული საგანგებო დახმარების ფუნქციის განხორციელების კოორდინირებას ახორციელებს შესაბამისი სამინისტრო, მისი სტრუქტურული ერთეული ან სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მხარდამჭერი უწყებებისა და ორგანიზაციების, ასევე მუნიციპალიტეტების და შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციების მონაწილეობით.

3. საგანგებო დახმარების ფუნქციები:

საგანგებო დახმარების	საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები	პასუხისმგებელი უწყება
----------------------	---	-----------------------

ფუნქციები		
<p>ფუნქცია №1 - საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფა</p>	<p>საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციების პრევენციის, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების მიტიგაციის, ლიკვიდაციისა და აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;</p> <p>მონიტორინგისა და პროგნოზის საფუძველზე საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის ორგანიზება;</p> <p>საგანგებო სიტუაციების დროს საგანგებო ვითარების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვა.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; • საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; • საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; • საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; • საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; • საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; • საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; • საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; • საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; • საქართველოს ეროვნული ბანკი.
<p>ფუნქცია №2 - კავშირგაბმულობის და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა</p>	<p>კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება;</p> <p>ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების დაცვა, აღდგენა და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; • საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი და კერძო მაუწყებლობა; • ელექტრონული კომუნიკაციებისა და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიები; • საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქსელებისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი; • საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო.
<p>ფუნქცია №3 - მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა, ლტოლვილთა მოულოდნელი</p>	<p>მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინირება;</p> <p>ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების საგანგებო მართვა,</p>	<p>ძირითადი უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

<p>ნაკადების მართვა.</p>	<p>ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;</p> <p>საევაკუაციო მარშრუტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა;</p> <p>კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმირება;</p> <p>ევაკუირებულთა სამედიცინო უზრუნველყოფა;</p> <p>ენერგოუზრუნველყოფა;</p> <p>ცხოველების ევაკუაციის ორგანიზება.</p>	<p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; • საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი; • საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი; • საქართველოს სასაგელაღსრულებლისა და პრობაციის სამინისტრო.
<p>ფუნქცია №4 - რეაგირების ღონისძიებების კოორდინირება</p>	<p>რეაგირების სამუშაოების განხორციელების კოორდინირება;</p> <p>სამეხნი, სამაშველო, ხანძრის ქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სამაშველო ძალების ჩაბმის ორგანიზება.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი; • საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; • საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.
<p>ფუნქცია №5 - სატრანსპორტო უზრუნველყოფა</p>	<p>სატრანსპორტო უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სატრანსპორტო უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება;</p>	<p>ძირითადი უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო

	<p>საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება და დაცვის უზრუნველყოფა.</p>	<p>ტრანსპორტის სააგენტო;</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მეწარმეობის განვითარების სააგენტო; • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; • საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; • შპს „საქართველოს რკინიგზა“.
<p>ფუნქცია №6 - სამედიცინო უზრუნველყოფა</p>	<p>სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება;</p> <p>საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების უზრუნველყოფა;</p> <p>გარდაცვლილთა აღრიცხვა;</p> <p>საგანგებო სიტუაციების ზონაში მოსახლეობის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების ორგანიზება;</p> <p>განსაკუთრებით საშიში პათოგენებისაგან მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა;</p> <p>სამედიცინო ტრანსპორტით უზრუნველყოფა.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; • საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.
<p>ფუნქცია №7 - მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის, დიპლომატიური პროტო- კოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა</p>	<p>საგანგებო სიტუაციებში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების კოორდინირება;</p> <p>ჰუმანიტარული ღონისძიებების მხარდაჭერა;</p> <p>საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

<p>ფუნქცია №8 - ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების უზრუნველყოფა</p>	<p>კოორდინირება და მონაწილეობა.</p> <p>ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება;</p> <p>ტყის ხანძრებზე რეაგირების ორგანიზება;</p> <p>სახანძრო ტექნიკის გადაადგილების უზრუნველყოფა;</p> <p>ტრანსპორტით უზრუნველყოფა.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
<p>ფუნქცია №9 - ენერგომომარაგების უზრუნველყოფა</p>	<p>ენერგეტიკული საგანგებო სიტუაციის პრევენცია;</p> <p>ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების უზრუნველყოფის კოორდინირება;</p> <p>საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების აღდგენითი ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>ენერგომომარაგების ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
<p>ფუნქცია №10 - მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა</p>	<p>მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება;</p> <p>მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო

<p>ფუნქცია №11 - ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა</p>	<p>ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინაცია;</p> <p>ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების ღონისძიებებში გამოსაყენებელი ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>ტრანსპორტი და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა;</p> <p>საშიში ნივთიერებებისაგან დაცვის უზრუნველყოფა.</p>	<p>ავიაციის სააგენტო.</p> <p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.
<p>ფუნქცია №12 - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა</p>	<p>მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინირება;</p> <p>ტრანსპორტი და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა;</p> <p>მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაცვის უზრუნველყოფა.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.
<p>ფუნქცია №13 - კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა</p>	<p>კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება;</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

	<p>საეკაუციო ღონისძიებების დაცვის უზრუნველყოფა;</p> <p>საგანმურისა და ფინანსური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს ეროვნული ბანკი; • საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი.
<p>ფუნქცია №14 -</p> <p>საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა</p>	<p>საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება;</p> <p>საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის მიზნით ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა.</p>	<p>ძირითადი უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.
<p>ფუნქცია №15 -</p> <p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ინფრასტრუქტურის (შემდგომში ინფრასტრუქტურის) დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფა</p>	<p>ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება;</p> <p>საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საინჟინრო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>სატრანსპორტო უზრუნველყოფა;</p> <p>საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა;</p> <p>ინფრასტრუქტურის აღდგენა, ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და სისტემების ურთიერთქმედების უზრუნველყოფა.</p>	<p>ძირითადი უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი) <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.
<p>ფუნქცია №16 -</p> <p>სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა</p>	<p>სასურსათო და წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება;</p>	<p>ძირითადი უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

	<p>საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი სასურსათო და წყლით მომარაგების ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>სურსათისა და წყლის დაცვის უზრუნველყოფა.</p>	<p>საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.
<p>ფუნქცია №17 - საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა</p>	<p>საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების განხორციელების კოორდინირება;</p> <p>აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;</p> <p>საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სამაშველო ძალების ჩაბმის ორგანიზება.</p>	<p>ძირითადი უწყება</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო. <p>დამხმარე უწყებები</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი; • საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი); • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

მუხლი 9. საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფა

1. საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფა ფუნქცია №1:

<p>ძირითადი უწყებაა</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.
<p>მხარდამჭერი უწყებებია:</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; • საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; • საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; • საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო; • საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; • საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; • საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. • საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; • საქართველოს ეროვნული ბანკი.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • საგანგებო სიტუაციების პრევენციის, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების მიტიგაციის, ლიკვიდაციისა და აღდგენითი, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მზადყოფნის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება; • მონიტორინგისა და პროგნოზის საფუძველზე საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის ორგანიზება; • საგანგებო სიტუაციების დროს საგანგებო ვითარების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება:

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციების მართვას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, მხარდამჭერ უწყებებთან ერთად. მისი ძირითადი ამოცანებია: საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება, სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელება. ასევე, მეთოდური მითითებების მიცემა საგანგებო სიტუაციების ერთიანი სისტემაში შემავალი უწყებებისათვის საგანგებო სიტუაციების რისკის მართვისა და პრევენციული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, ხოლო საგანგებო სიტუაციების განვითარების დროს, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების კოორდინირება.

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** საგანგებო სიტუაციების მართვას უზრუნველყოფენ შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფებთან კოორდინაციით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები და სახელმწიფო რწმუნებულები - გუბერნატორები, რომლებიც ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე განვითარებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, ასევე აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით ქმნიან მართვის დონეების შესაბამის ოპერატიულ ცენტრებს, ხოლო პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების გასატარებლად - საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების კომიტეტებს/ჯგუფებს.

3. საგანგებო დახმარების ფუნქცია №1 - „საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფა“ ხორციელდება სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს - შსს სსიპ -

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ორგანიზებით ოთხი ძირითადი ფაზისაგან (პრევენცია, მზადყოფნა, რეაგირება და აღდგენა) შემდგარი უწყვეტი ციკლის სახით.

4. პრევენცია:

ა) საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფა - ფუნქცია №1 მოიცავს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად), ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იყოს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით, შენობების, საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის სახეობის, რაოდენობის და მედეგობის (სეისმომდეგობის) გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სახეები, მათი სავარაუდო მასშტაბები და საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგების (როგორც პირდაპირი, ისე მეორადი – ხანძარი, მოწამვლა, მეწყერი და სხვ.) რაოდენობრივი მონაცემები, მათ შორის, დაღუპულთა და დაშავებულთა სავარაუდო რიცხვი;

გ) საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მომზადების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საფრთხის წინაშე არსებული მოსახლეობის რაოდენობა, სიმჭიდროვე, დაცულობა, რისკების მართვისა და უსაფრთხოების სფეროში მათი ცნობიერებისა და მზადყოფნის დონე, საგანგებო სიტუაციების ზონაში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძალები და საშუალებები.

5. საგანგებო მართვის დროს ძირითადი პრევენციული ღონისძიებები:

ა) სტრუქტურული პრევენციული ღონისძიებები:

ა.ა) მოსახლეობისა და ქონების დაცვის მიზნით, ინციდენტების, სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების თავიდან აცილება დაგროვებადი დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატიური შემცირებითა და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით;

ა.ბ) საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მიხედვით შენობა-ნაგებობების დაპროექტება და მშენებლობა, არასაკმარისი მედეგობის შენობა-ნაგებობების შეცვლა უფრო მაღალი მედეგობის ნაგებობებით ან მათი გაძლიერება საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით, ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობების საგანგებო სიტუაციებისაგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან დაცვის საინჟინრო-კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება;

ა.გ) მასშტაბური სამრეწველო ავარიების თავიდან აცილება საწარმოო პროცესების ტექნოლოგიური უსაფრთხოებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო საიმედოობის ამაღლებით;

ა.დ) ანტიდოტების გამოყენება, ვაქცინაცია, სანიტარიულ-ჰიგიენური და სხვა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

ბ) არასტრუქტურული პრევენციული ღონისძიებებია:

ბ.ა) საგანგებო სიტუაციების საფრთხეების მონიტორინგი და პროგნოზირება;

ბ.ბ) საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მომზადება და მათი გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის ნორმატიული რეგულაციებით სამრეწველო ობიექტებისა და დასახლებების რაციონალური განთავსება;

ბ.გ) სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას დაქვემდებარებული ობიექტების საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბ.დ) პოტენციურად საშიშ ობიექტებზე უსაფრთხოების დეკლარირების, სახანძრო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისობის დადგენის, ქალაქების, მუნიციპალიტეტების და პოტენციურად საშიში ობიექტების უსაფრთხოების პასპორტების მომზადების ორგანიზება;

ბ.ე) გარემოსდაცვით სფეროში ზედამხედველობა და ლიცენზირება;

ბ.ვ) სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას დაქვემდებარებული ობიექტების ზედამხედველობა;

ბ.ზ) პოტენციურად საშიში ობიექტების ექსპლუატაციით გამოწვეული ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებლობის დაზღვევა;

ბ.თ) სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა;

ბ.ი) სურსათის, ცხოველის საკვების და წყლის უვნებლობის კონტროლი;

ბ.კ) საგანგებო სიტუაციის მართვის ერთიანი სისტემის ფუნქციონირების გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმებში შესაძლო საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია;

ბ.ლ) საგანგებო სიტუაციის რისკის დროულად გამოვლენა, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების და რისკის მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება. მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საგამოცდო და საპროექტო სამუშაოების ორგანიზება.

ბ.მ) საგანგებო სიტუაციისა და საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელება, ორგანიზაციული და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დაგეგმვა.

6. ოპერაციების კონცეფცია (საგანგებო სიტუაციებზე ოპერატიული რეაგირება):

ა) შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი:

ა.ა) მსხვილმასშტაბიანი საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში, შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო წინასწარ შემუშავებული შეტყობინების სქემის საფუძველზე კრებს საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს და იწყებს საგანგებო მართვის (ფუნქცია №1-ით განსაზღვრული) რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ, აცხადებს განგაშს და ატყობინებს შექმნილი მდგომარეობის თაობაზე შესაბამის უწყებებსა და პირებს;

ა.ბ) შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო მიღებული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს წარუდგენს მოხსენებას შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ;

ა.გ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი საგანგებო დახმარების ფუნქცია №1-ის შესაბამისად, მოქმედებს მხარდამჭერ უწყებებთან ერთად. ამ მიზნით, მხარდამჭერი უწყებები უზრუნველყოფენ უფლებამოსილი პირების მივლინებას მართვის დონეების შესაბამის ოპერატიულ და საველე ოპერაციების ცენტრებში.

ბ) ადგილობრივი და საველე დონე:

ბ.ა) საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტების საგანგებო სიტუაციის მართვის ოპერატიული ცენტრები აცხადებენ განგაშს და ატყობინებენ შექმნილი მდგომარეობის თაობაზე შესაბამის უწყებებსა და პირებს;

ბ.ბ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №1-ის შესაბამისად, გაიცემა ოპერატიული ბრძანებები საგანგებო მართვის დროს რეაგირების ძირითადი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად

ბ.გ) შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო გამოყოფს უფლებამოსილ პირებს, მორეაგირე ძალებსა და რესურსებს მუნიციპალიტეტების ოპერატიული ცენტრებისა და საველე ოპერაციების ცენტრის დასახმარებლად.

ბ.დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების და სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრები, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავენ პირველად მოთხოვნებს ეროვნულ დონეზე დახმარების მისაღებად.

გ) საგანგებო მართვის დროს რეაგირების ძირითადი ღონისძიებები - საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრსა და საველე ოპერაციების ცენტრში არსებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

გ.ა) განგაშის გამოცხადება და შეტყობინება;

გ.ბ) საველე ოპერაციების ცენტრის გაშლა და საგანგებო რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;

გ.გ) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;

გ.დ) საგანგებო სიტუაციების ზონებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის (სავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების) განხორციელება;

გ.ე) ოპერაციების კოორდინირება;

გ.ვ) ლოჯისტიკური უზრუნველყოფა;

გ.ზ) ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;

გ.თ) ინფორმაციის მართვა;

გ.ი) მოთხოვნების დამუშავება ეროვნული დახმარების შესახებ;

გ.კ) რესურსების მიღება და მართვა;

გ.ლ) რეაგირების ძალების პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;

გ.მ) ფინანსების მართვა;

გ.ნ) დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, შემფასებელი პერსონალის ან ჯგუფის მოქმედებაში მოყვანა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ამოქმედება (GIS);

გ.ო) საგანგებო სიტუაციების დროს არასამთავრობო და საერთაშორისო სამაშველო ჯგუფების გამოყენების ორგანიზება.

7. დაუყოვნებლივ იწყება საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო, გზების გაწმენდის ორგანიზება. შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრები საგანგებო სიტუაციის ზონაში მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით ხსნიან ევაკუირებულთა შემკრებ, საშუალებდო, მიმღებ პუნქტებს. შესაბამისად, ორგანიზება უკეთდება ევაკუირებულთა აღრიცხვის, სამედიცინო დახმარების, სურსათით, ცხოველის საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნებით, წყლის აუცილებელი მარაგით და საცხოვრებელი უზრუნველყოფას.

8. ორგანიზება უკეთდება მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებს.

9. მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შედეგად ადამიანთა მასობრივი დაღუპვის შემთხვევაში, ხდება გარდაცვლილთა დაკრძალვის ორგანიზება.

10. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთვის მზადდება წინადადება საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობის შესახებ.

11. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება:

ა) საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფა - ფუნქცია №1 მოიცავს საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, ;

ბ) აღდგენითი სამუშაოები ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში ან მისი დასრულებისთანავე. ეს სამუშაოები მოიცავს სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის, ასევე, გადარჩენილი მოსახლეობის და რეაგირების ძალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებებს;

გ) ორგანიზება უკეთდება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, კომუნალური სამსახურების ფუნქციონირების აღდგენას და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფას. ასევე, მოსახლეობის ფსიქოლოგიური დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს.

12. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა - ამ ფუნქციაში მონაწილეობენ ერთიან სისტემაში შემავალი უწყებების წარმომადგენლები, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ უწყებათა დარგობრივი სფეროების გათვალისწინებით. მხარდამჭერი უწყებები და მათი კომპეტენციებია:

ა) **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო** - ახორციელებს საერთაშორისო დახმარებების მოთხოვნის, მიღების და გაგზავნის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრას. საქართველოში აკრედიტებული საელჩოების საგანგებო მართვის გეგმების მომზადების კოორდინირებას;

ბ) **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** - ახორციელებს საგანგებო სიტუაციის შედეგებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად და საბაჟო ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო დროის შემცირების მიზნით გამართივებული საბაჟო პროცედურების გამოყენების ორგანიზებას. სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით დაფინანსების ხელშეწყობას;

გ) **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** - ახორციელებს საგანგებო სიტუაციების საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას; საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას და მათი გათვალისწინებით, ქვეყნის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის ნორმატიული რეგულაციებით სამრეწველო ობიექტებისა და დასახლებების რაციონალური განთავსების ორგანიზებას; სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას დაქვემდებარებული ობიექტების საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის ორგანიზების მხარდაჭერას; პოტენციურად საშიშ ობიექტებზე უსაფრთხოების დეკლარირების, სახანძრო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისობის დადგენისა და ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების, ასევე პოტენციურად საშიში ობიექტების უსაფრთხოების პასპორტების მომზადების ორგანიზების მხარდაჭერას. პოტენციურად საშიში ობიექტების ექსპლუატაციით გამოწვეული ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებლობის დაზღვევის ორგანიზებას.

დ) **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** - ახორციელებს საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას; საქვეუწყებო დაწესებულებაში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების კოორდინირებას;

ე) **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** - ახორციელებს ბიოლოგიური საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას. საგანგებო სიტუაციის შედეგებით დაზარალებული მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევას და ჰუმანიტარული და სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელების ორგანიზებას;

ვ) **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო** - ახორციელებს მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების მხარდაჭერას ლტოლვილთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში;

ზ) **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო** - ახორციელებს საგანგებო სიტუაციების საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას;

თ) **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო** - ახორციელებს ბიოლოგიური საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას;

ი) **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (გარემოს ეროვნული სააგენტო)** - ახორციელებს ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგსა და

პროგნოზირებას. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პროექტებისა და პროგრამების ეკოლოგიური შედეგების შეფასებას საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით. გარემოსდაცვით სფეროში ზედამხედველობისა და ლიცენზირების ორგანიზებას;

კ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო - ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების დაცვის მიზნით პრევენციული მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვასა და კოორდინირებას. კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების ორგანიზებას და კოორდინირებას;

ლ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - ახორციელებს განათლების ყველა დონეზე სასწავლო გეგმებში, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ დისციპლინების ჩართვის ხელშეწყობასა და სხვა ფორმალური, თუ არაფორმალური არხების გამოყენებას ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობას და სამეცნიერო პოტენციალით მხარდაჭერას. საგანგებო სიტუაციების დროს განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფას (მაგ: დროებითი მოძრავი სკოლების ორგანიზება და სხვა). საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების შეფასებისა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებათა ორგანიზებას. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსწავლეთა, სტუდენტთა ღონისძიებების შემუშავების ორგანიზებას“;

მ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - ახორციელებს საგანგებო სიტუაციების საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას. ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას;

ნ) საქართველოს ეროვნული ბანკი - ახორციელებს მონიტორინგს საგანგებო სიტუაციების დროს ბანკების მონაცემთა გადაცემის სისტემების დაცულად ფუნქციონირებაზე, წარმოქმნილ ფორსმაჟორულ სიტუაციებში და საფრთხეების დროს კომერციულ ბანკებთან ერთად ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მათ.

მუხლი 10. კავშირგაბმულობისა და შეტყობინებების ღონისძიებების უზრუნველყოფა

1. კავშირგაბმულობისა და შეტყობინებების ღონისძიებების უზრუნველყოფა (ფუნქცია №2):

ძირითადი უწყებაა	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი.
მხარდამჭერი უწყებებია:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; • საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი და კერძო მაუწყებლობა; • ელექტრონული კომუნიკაციებისა და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიები; • საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქსელებისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი; • საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; • ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; • ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების დაცვა, აღდენა, ფუნქციონირების პრევენციული და უწყვეტობის უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი საგანგებო სიტუაციებისას უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ქსელების, ფუნქციონირების და ინფორმაციული რესურსების დაცვის უზრუნველყოფის კოორდინირებას ეროვნულ დონეზე;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიები, სამაუწყებლო კომპანიები და უწყებრივი ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების მფლობელი ორგანიზაციები საგანგებო სიტუაციებისას უზრუნველყოფენ მათი ქსელების და საშუალებების ფუნქციონირებას;

გ) აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე სხვა რეგიონების ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების წარმოქმნისას კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფენ აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, აღმასრულებელი ხელისუფლების რეგიონალური მართვის შესაბამისი სტრუქტურები, აგრეთვე ამ ტერიტორიებზე მოქმედი ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის საოპერატორო და სამაუწყებლო კომპანიები, ხოლო ადგილობრივ დონეზე – მუნიციპალიტეტების შესაბამისი ორგანოები და ამ ტერიტორიაზე მოქმედი ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის საოპერატორო და სამაუწყებლო კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის და შეტყობინების საგანგებო შტაბის ოპერატიული რეაგირების სტრუქტურები.

3. პრევენცია:

ა) კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა - ფუნქცია №2 მოიცავს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად), ორგანიზაციების და მოსახლეობის მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი

საგანგებო სიტუაციების შეტყობინების ღონისძიებების და მოსახლეობის დაცვის მიზნით კავშირგაბმულობის უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) კავშირგაბმულობისა და შეტყობინების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სახეები და მონაცემები, მათი სავარაუდო მასშტაბები და კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემების მათ მიმართ მდგრადობა, აქედან გამომდინარე, საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგები. მათი თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი პრევენციული ღონისძიებები, საჭირო ძალები და საშუალებები.

გ) კავშირგაბმულობისა და შეტყობინების პრევენციული ღონისძიებებია: საგანგებო სიტუაციების დროს საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების ქსელები და საშუალებები სტიქიის ზემოქმედების ან/და არაპროგნოზირებადად გაზრდილი ტრაფიკის გამო მწყობრიდან გამოდიან, წყდება მათი ელექტრომომარაგება. სამაშველო სამუშაოების წარმოების დროს ძალზე მაღალია ელექტრონული კომუნიკაციების სახაზო ნაგებობების სერიოზული დაზიანების ალბათობა. იზრდება დამნაშავე ელემენტების მცდელობის ალბათობაც განახორციელონ არასანქცირებული შეღწევა ქსელების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფაში, მონაცემთა გადაცემის საბანკო სისტემაში და ა.შ.

დ) მიუხედავად იმისა, რომ საავარიო-აღდგენითი ბრიგადები თავისდროულად აღჭურვილნი უნდა იყვნენ და საგანგებო სიტუაციების ზონაში სამუშაოების წარმოებისას უნდა სარგებლობდნენ დახურული უწყებრივი რადიოსატელეფონო ქსელებით, ძალზედ მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების ზონაში მწყობრიდან გამოსული საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და საშუალებების ფუნქციონირების დროული აღდგენა. ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტები და მისი რეაგირების ძალები პირველ რიგში უზრუნველყოფილნი იქნენ პრიორიტეტული, დაცული და მდგრადი საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით;

ე) კავშირგაბმულობისა და შეტყობინების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება გულისხმობს ასევე მოსახლეობის ინფორმირების უზრუნველყოფას;

ვ) საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხორციელდება საზოგადოებრივი და კერძო კომპანიების სამაუწყებლო საშუალებებით, მობილური რადიოსატელეფონო და ფიქსირებული სატელეფონო, ინტერნეტის ქსელების საშუალებებით, ხოლო მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხმამაღლა მოლაპარაკე საშუალებებით მოწყობილი ავტომანქანების გამოყენებით.

4. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებებია:

ა) საგანგებო სიტუაციებში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ძალების, საშუალებების მოზიდვა და მათი კოორდინირება;

ბ) სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვის სფეროში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა;

გ) საგანგებო სიტუაციებისას მოსახლეობის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა;

დ) საგანგებო სიტუაციებში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ქვესისტემების მუშაობის კოორდინირება;

ე) ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებზე საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულების ორგანიზება.

5. პირველ რიგში ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებით და საშუალებებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგი ობიექტები:

ა) კავშირგაბმულობის და ტელერადიომალწიფებლობის ობიექტები და ორგანიზაციები;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო და სამინისტროს სხვა ქვედანაყოფები;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები;

დ) სამედიცინო დაწესებულებები;

ე) ელექტრომომარაგების საწარმოები;

ვ) პურის ქარხნები;

ზ) გაზიფიკაციისა და გაზმომარაგების საწარმოები;

თ) წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ობიექტები.

6. მეორე რიგის ობიექტებად ითვლება:

ა) სატრანსპორტო ორგანიზაციები;

ბ) ნავთობ-ბაზები;

გ) ქარხნები;

დ) სამშენებლო ორგანიზაციები.

7. სტრუქტურული პრევენციული ღონისძიებები:

ა) რისკის რუკების გათვალისწინებით, ქვეყნის ტერიტორიაზე კავშირგაბმულობის სფეროში ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, კავშირგაბმულობის ობიექტების რაციონალური განთავსება და ამ ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის მედეგობისა და საიმედოობის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზება;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და საშუალებების დუბლირების მიზნით საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების ორგანიზება;

გ) საგანგებო სიტუაციებში სათადარიგო კავშირის მობილური ტექნიკური საშუალებებისა და მოწყობილობების მარაგების შექმნის ორგანიზება.

8. არასტრუქტურული პრევენციული ღონისძიებები:

ა) საგანგებო სიტუაციებიდან გამოწვეული კავშირგაბმულობის სისტემებსა და ობიექტებზე შესაძლო საფრთხეების მონიტორინგი და პროგნოზირება;

ბ) საგანგებო სიტუაციებში კავშირგაბმულობის სფეროში ნორმატიული რეგულირების მუდმივი სრულყოფა და განვითარება;

კ) კავშირგაბმულობის და შეტყობინების უზრუნველყოფის მიზნით საგანგებო სიტუაციის მართვის ერთიანი სისტემის ფუნქციონირების გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმში ოპერატიულად გადაყვანის ღონისძიებების ორგანიზება.

9. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის დროს რეაგირების ძირითადი ღონისძიებები:

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებოთაშორისო ოპერატიულ ცენტრში, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიები, მაუწყებლები და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილი პირების მივლინებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგანგებო შტაბში;

ბ) საუწყებოთაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №2) განხორციელებას, შესაბამისად, :

ბ.ა) შესაძლო მოკლე ვადაში ფუნქციონირებას იწყებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელშიც შედიან დეპარტამენტის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირების საოპერატორო კომპანიების, მაუწყებლების, უწყებრივი ქსელების მფლობელი ორგანიზაციების უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირები. საგანგებო შტაბი მუშაობს სამინისტროს უწყებრივი საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, რეგიონალური და მუნიციპალიტეტების საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიულ ცენტრებში შედიან რეგიონში და ქალაქებში მოქმედი ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიების, სამაუწყებლო კომპანიების უფლებამოსილი მუშაკები;

ბ.გ) საოპერატორო კომპანიებში, მაუწყებლებში და ქსელების მფლობელ ორგანიზაციებში იქმნება საგანგებო შტაბები და საგანგებო სიტუაციებზე პირველადი რეაგირების ჯგუფები.

გ) საგანგებო მდგომარეობის დროს აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონალური და მუნიციპალიტეტების საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიულ ცენტრებში კავშირგაბმულობის სამსახურები, საოპერატორო კომპანიების, მაუწყებლების და ქსელების მფლობელი ორგანიზაციების საგანგებო შტაბები და პირველადი რეაგირების ჯგუფები ექვემდებარებიან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საგანგებო შტაბს, ასრულებენ სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის და საგანგებო შტაბის დავალებებს და თანამოქმედებენ მასთან;

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგანგებო შტაბმა შეიძლება მოითხოვოს მხარდამჭერი უწყებებიდან სათანადო დახმარება, თუ ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიები,

სამაუწყებლო კომპანიები და უწყებრივი ელექტრონული კომუნიკაციების მფლობელი ორგანიზაციები საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფენ საგანგებო დახმარების ფუნქცია №2-ის შესრულებას;

ე) საგანგებო დახმარების ფუნქცია №2-ის შესრულებაში სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს და საგანგებო შტაბს დახმარებას უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, რათა მოხდეს რისკების ანალიზი, შეფასება და დახმარების აღმოჩენა;

ვ) რეაგირების პერიოდში კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ეკისრება პირველადი პასუხისმგებლობა შეაფასოს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ხარისხი და დონე, ხოლო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი მოთხოვნის დეკლარირება;

ზ) მიუხედავად იმისა, რომ კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის აღდგენა მათივე მფლობელების პასუხისმგებლობაა, კავშირგაბმულობის ქსელებისა და საშუალებების დროულად აღდგენის მიზნით, საგანგებო დახმარებების ფუნქცია №2 უზრუნველყოფს მათთვის დახმარებასა და მხარდაჭერას ეროვნულ დონეზე.

10. ორგანიზება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგანგებო შტაბში:

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №2-ის შესრულების კოორდინირებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგანგებო შტაბი;

ბ) საგანგებო შტაბი თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან, საოპერატორო და სამაუწყებლო კომპანიებთან, რათა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების დროს ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის, მაუწყებლობის და უწყებრივი ქსელების და საშუალებების ფუნქციონირების კოორდინირება, ინფორმაციული რესურსების დაცვის კოორდინირება, მოამზადოს დროული და ზუსტი ინფორმაცია და რეკომენდაციები საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისათვის.

11. ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგანგებო შტაბი, საგანგებო დახმარების ფუნქცია №2-ის შესაბამისად, აძლევს რეკომენდაციებს საუწყებო-თავმჯდომარის ოპერატიულ ცენტრს, რომელიც შესაბამისად, კოორდინირებას უწევს საველე ოპერაციებს;

ბ) საგანგებო შტაბმა შეიძლება დანიშნოს წარმომადგენელი საველე ოპერაციების ცენტრში;

გ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №2-ის განხორციელების მიზნით, საგანგებო შტაბი გამოყოფს წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ საგანგებო სიტუაციის ზონაში საოპერატორო კომპანიების პირველადი რეაგირების ჯგუფთან ერთად.

12. ოპერაციების კონცეფცია (საგანგებო სიტუაციებზე ოპერატიული რეაგირება):

ა) კოორდინირებას უწევს ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომუნიკაციების მიერ საგანგებო სიტუაციებში ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და საშუალებების მდგრადი, დაცული და შეუფერხებელი ფუნქციონირების წინასწარ შედგენილი გეგმის ამოქმედებას;

ბ) კოორდინირებას უწევს ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის ქსელების და საშუალებების ურთიერთრეზერვირების სქემების დროულად ამოქმედებას;

გ) კოორდინირებას უწევს საგანგებო მდგომარეობის ზონაში საოპერატორო კომუნიკაციების საავარიო აღდგენითი ბრიგადების გამგზავრებას, მუშაობას და მათ თანამოქმედებას;

დ) ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და საშუალებების ფუნქციონირებაზე აწარმოებს მონიტორინგს და აწვდის ინფორმაციას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს.

13. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება:

ა) კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა - ფუნქცია №2 მოიცავს საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, ორგანიზაციების და მოსახლეობის მონაწილეობით.

ბ) სახელმწიფო მართვის და მუნიციპალიტეტების ორგანოები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციის დროს დაზიანებული ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის ქსელების ავარიული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის მიზნით, ელექტრონული კომუნიკაციებისა და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიებს, სამაუწყებლო კომპანიებს, უწყებრივი ქსელების მფლობელ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება (სამუშაო ძალა, ტრანსპორტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - დახმარებას უწევს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის დაგეგმვის და მართვის სფეროში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებაში.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს „ხმამაღლა მოლაპარაკე“ საშუალებით მოწყობილი ავტომანქანებით მოსახლეობის ინფორმირებას.

გ) შსს სსიპ - სახელმწიფო მატერიალური რეზერვის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის ორგანიზაციებს, სამაუწყებლო კომპანიებს საწვავ-საპოხი მასალით.

დ) შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს, წინასწარ განსაზღვრული გეგმით, საგანგებო სიტუაციებში ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და ტელერადიომაუწყებლობის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვას.

ე) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სფეროში გასატარებელ ღონისძიებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვ) საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო - უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ქსელების ობიექტების ელექტრომომარაგებას.

ზ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - უზრუნველყოფს, ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიებთან და მაუწყებლებთან ერთად, ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ობიექტების ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების ძირითადი ღონისძიებების შემუშავებას. უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინირებას.

თ) საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიებთან და მაუწყებლებთან ერთად უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ობიექტების ბიოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი ღონისძიებების შემუშავებას. უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინირებას.

ი) სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი და კერძო სამაუწყებლო კომპანიები - უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის დროულ ინფორმირებას.

კ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია - საგანგებო სიტუაციების დროს უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ძალების და საშუალებების აღრიცხვასა და მობილიზების მხარდაჭერას. ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობისთვის გაცემულ ლიცენზიებში და ავტორიზაციის დოკუმენტებში წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით ცვლილებების და დამატებების შეტანას, საოპერატორო კომპანიების და მაუწყებლობის მიერ ლიცენზირების პირობების დაცვაზე მკაცრი კონტროლის დამყარებას. აწესებს რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებაზე სადღეღამისო მკაცრ კონტროლს, არარეგისტრირებული რადიოგადამცემი სადგურების გამოვლენას და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ერთად მათი ფუნქციონირების აღკვეთას. ახორციელებს სადღეღამისო მონიტორინგს მაუწყებლების მიერ წარმოებული გადაცემების საგანგებო მდგომარეობის დროს სამაუწყებლო პოლიტიკასთან შესაბამისობაზე, გამოვლენილ დარღვევებზე ოპერატიულად რეაგირებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. საგანგებო მდგომარეობის დროს რადიოსიხშირული სპექტრის მართვას ახორციელებს მის მიერ დადგენილი წესით. აუცილებლობის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციებში რადიოკავშირის საშუალებებით, საერთაშორისო დახმარებების მიღების მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, სიხშირეთა ეროვნულ გეგმაში შეაქვს გლობალური ან/და რეგიონალური სიხშირული ზოლები/დიაპაზონები და მათ შესახებ აცნობებს სამინისტროს კავშირგაბმულობის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს, განახორციელებს მათ საერთაშორისო კოორდინაციას. სიხშირეთა ეროვნულ გეგმაში გამოყოფს რადიოსიხშირეებს, რომელთა ფარგლებში საგანგებო მდგომარეობის დროს დასაშვებია რადიომაუწყებლობის მუშაობა ან გამოყენება. აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიულად გამოყოფს დამატებით რადიოსიხშირეებს თავდაცვის და შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის, კავშირგაბმულობის და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებისთვის,

საავარიო-აღდგენითი, სახანძრო-სამაშველო ფორმირებებისთვის, უზრუნველყოფს გამოყოფილი რადიოსიხშირეების დაცვას.

ლ) **ელექტრონული კომუნიკაციებისა და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიები** - საგანგებო სიტუაციების დროს წინასწარ შედგენილი გეგმების მიხედვით უზრუნველყოფენ ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ქსელების და საშუალებების ფუნქციონირებას, მათ მიერ ჩამოყალიბებული და შესაბამისად, აღჭურვილი საავარიო-აღდგენითი ბრიგადებით მწყობრიდან გამოსული ქსელების აღდგენას. ელექტრონული კომუნიკაციების და ტელემაუწყებლობის ქსელებს აპროექტებენ, აგებენ, აფართოვებენ ან რეკონსტრუქციას უტარებენ და ექსპლუატაციას უწყვენ საგანგებო მდგომარეობის დროს მდგრად, დაცულ და უსაფრთხო ფუნქციონირების საკითხებზე, საქართველოში მოქმედი ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდაციების გათვალისწინებით. საკუთარი სახსრებით ახორციელებენ ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების მდგრადობას და მათ პროგრამულ უზრუნველყოფას, საგანგებო მდგომარეობის დროს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების მდგრადი, დაცული და უსაფრთხო ფუნქციონირების საკითხებზე მოქმედი ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდაციების შესაბამისად. შეიმუშავენ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უთანხმებენ საგანგებო მდგომარეობის დროს საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების და ქსელების ფუნქციონირების უზრუნველყოფის გეგმებს, სხვადასხვა საოპერატორო და ტელერადიო სამაუწყებლო კომპანიების ქსელებთან და საშუალებებთან ურთიერთრეზერვირების სქემებს. მშვიდობიან პერიოდებში უზრუნველყოფენ გეგმების და ქსელების რეალიზებას, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფენ მათ ამოქმედებას. აფორმებენ ხელშეკრულებას საგანგებო მდგომარეობის დროს ურთიერთთანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ. ქსელების გაფართოებისა და სრულყოფის სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში აახლებენ მას და უზრუნველყოფენ მის შესრულებას. სახელმწიფო მართვის, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს, კავშირგაბმულობების, ტელერადიომაუწყებლობის, ჯანმრთელობის დაცვის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სამშენებლო და საკომუნიკაციო მომსახურების ორგანიზაციებს, ბანკებს უზრუნველყოფენ საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების პრიორიტეტული მომსახურებით. დაუყოვნებლივ აკმაყოფილებენ თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების მოთხოვნას საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით დამატებით მომსახურებაზე და სატელეკომუნიკაციო ქსელების სიმძლავრეების დამატებით გამოყოფაზე. განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მომხმარებლებს, რომელთაც განსაკუთრებული ფუნქციები ეკისრებათ, საგანგებო მდგომარეობის დროს უზრუნველყოფენ ელექტრონული კომუნიკაციებით რიგგარეშე პრიორიტეტული მომსახურებით. ოპერატიულად ასრულებენ სამინისტროს მიერ გაცემულ დავალებებს, რომლებიც შეეხება საგანგებო მდგომარეობისთვის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების და საშუალებების მზადყოფნას და საგანგებო მდგომარეობის დროს მათ ფუნქციონირებას (მათ შორის, კავშირების მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად შეზღუდვას ან/და შეჩერებას, ქსელების რეზერვირების და ურთიერთრეზერვირების სქემების მოწყობას და ამოქმედებას, საავარიო-აღდგენითი სამუშაოების წარმოებას და ა.შ). საგანგებო მდგომარეობის დროს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების და საშუალებების ფუნქციონირების მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, შეიმუშავებული და შეთანხმებული

გეგმების შესაბამისად, სამინისტროს დავალებით, მშვიდობიან პერიოდში რეგულარულად აწყობენ ერთობლივ სწავლებას და ქსელების ტესტირებას. სწავლებაში გამოვლენილი ნაკლოვანებებს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრიან დროულად. ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების და ქსელების დაცულ, მდგრად და შეუფერხებელ ფუნქციონირებაში აღმოჩენილი საშიშროების ან/და დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ სხვა საოპერატორო კომპანიებს და სამინისტროს, ატარებენ ქმედით ზომებს მათ აღმოსაფხვრელად. ახორციელებენ სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო სარგებლობის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელების და მოწყობილობების უსაფრთხოების დაცვას და მათზე კიბერ-შეტევების მოგერიებას, აგრეთვე არასანქცირებული შეღწევის მცდელობის განეიტრალებას. უზრუნველყოფენ საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების აბონენტების შეუფერხებელ კავშირს ექსტრემალურ სამსახურებთან. (პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სახანძრო-სამაშველო სამსახური, გარემოს დაცვის ინსპექცია, გაზის საავარიო სამსახური). უზრუნველყოფენ საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების ელემენტების და ობიექტების მომზადებას, საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფო მართვის, თავდაცვის და შინაგან საქმეთა ორგანოების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ ორგანოებს საჭიროებისთვის გამოუყოფენ მხოლოდ უსაფრთხო, დაცული და მდგრადი ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებს. უზრუნველყოფენ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემას, რომელიც შეეხება ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებას, კატასტროფებს, ავარიებს, ეპიზოტოებს, ქვეყნის თავდაცვას და უშიშროებას; საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობას შეტყობინებას გადასცემენ მობილური რადიოსატელეფონო, ფიქსირებული ადგილობრივი და ინტერნეტის ქსელებით.

მ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მფლობელი ორგანიზაციები – საგანგებო სიტუაციების დროს წინასწარ შედგენილი გეგმების მიხედვით უზრუნველყოფენ უწყებრივი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ფუნქციონირებას, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებთან მათ ურთიერთრეზერვირებას. საგანგებო სიტუაციების ზონაში დაცული უწყებრივი რადიოსატელეფონო და ტექნიკური რადიოსატელეფონო ქსელების მდგრად ფუნქციონირებას, ამ ქსელების საშუალებებით პირველად რეაგირების ჯგუფების, საავარიო-სამაშველო და სავარიო-აღდგენითი ბრიგადების, სახელმწიფო მართვის, რეგიონალური და მუნიციპალიტეტების ორგანოების ხელმძღვანელების უზრუნველყოფას. აუცილებლობის შემთხვევაში მხარდამჭერი სამინისტროები და მათი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგანგებო შტაბში პასუხისმგებელი მუშაკების მივლინებას.

ნ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო - უზრუნველყოფს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ინფორმაციული და კიბერ-უსაფრთხოების ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 11. მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა, ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების მართვა.

1. მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა, ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების მართვა (ფუნქცია №3):

<p>ძირითადი უწყება</p>	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.
<p>მხარდამჭერი უწყებებია:</p>	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი; საქართველოს სასაქველსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.
<p>მიზანი:</p>	<ul style="list-style-type: none"> მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება-დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინირება; ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების საგანგებო მართვა; კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმირება; ტრანსპორტირების უზრუნველყოფა; საევაკუაციო მარშრუტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ევაკუირებულთა სამედიცინო უზრუნველყოფა; ენერგოუზრუნველყოფა; ცხოველების ევაკუაციის ორგანიზება.

2. ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებლობის გადანაწილება

ა) შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებისას მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების მართვას ეროვნულ, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე მის სისტემაში შემავალი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო - კოორდინირებას უწევს ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების საგანგებო მართვას. უზრუნველყოფს

მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების მხარდაჭერას ლტოლვილთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში.

3. მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ამოცანები

ა) დაზარალებული მოსახლეობის შეკრების, საშუალოდ საევაკუაციო და ევაკუირებულთა მიმღები პუნქტების შექმნა;

ბ) საგანგებო სიტუაციების ზონიდან და დასნებოვნების ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზება;

გ) სასაქვლადსრულების დაწესებულებებიდან პატიმრების ევაკუაციის ორგანიზება;

დ) ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების საგანგებო მართვა;

ე) სამედიცინო დახმარების გაწევის, სასმელი წყლის, სურსათის და პირველადი მოხმარების საგნების გაცემის ორგანიზება;

ვ) ევაკუაციისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა, ევაკუაციის მარშრუტების შემუშავება;

ზ) ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების ობიექტების განსაზღვრა, ევაკუირებული მოსახლეობის საწოლებით, ტანსაცმლით, სასმელი წყლით, სურსათით, პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის ორგანიზება;

თ) დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დროებითი განსახლების მიზნით საველე (საკარვე) ქალაქების მოწყობის ორგანიზება.

4. ოპერაციების კონცეფცია (საგანგებო სიტუაციებზე ოპერატიული რეაგირება):

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი იწყებს საგანგებო დახმარების ფუნქცია №3-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას რეაგირების მართვის დონეების მიხედვით.

ბ) დაზარალებულების დახმარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №3 უზრუნველყოფს დაზარალებულთა დახმარების განხორციელებას, რაც გულისხმობს:

გ.ა) საგანგებო სიტუაციის მართვის კოორდინირებას და ვითარების შეფასებას, ევაკუირებულთა დასახმარებლად შესაბამისი გეგმების განხორციელებას;

გ.ბ) ყველა იმ სამსახურების მხრიდან დახმარებას, რომლებიც ჩაბმული არიან საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებაში;

გ.გ) იმ პირების გამოვლენას, რომლებიც საჭიროებენ განსხვავებულ სპეციალიზებულ დახმარებას (მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სხვა ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა და სხვ.);

გ.დ) დახმარების აღმოჩენას იმ პირებისათვის, რომელთაც მიიღეს სტრესი, კატასტროფასთან ასოცირებული ფსიქოლოგიური ტრავმა;

გ.ე) პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტების დანიშნულების ადგილებამდე მიწოდების კონტროლს;

გ.ვ) დახმარების აღმოჩენას დაზიანებულ ტერიტორიაზე საჭირო კომუნიკაციების გამართულად მუშაობაში.

დ) ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის საგანგებო სიტუაციის მართვის ოპერატიულ ცენტრს მოქმედებაში მოჰყავს საგანგებო მართვის შესაბამისი გეგმა, რაც პირველ რიგში, გულისხმობს ადგილობრივ დონეზე ევაკუაციის განხორციელებას.

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო გამოყოფს უფლებამოსილ პირებს მუნიციპალიტეტების ოპერატიული და სავლე ოპერაციების ცენტრების დასაკომპლექტებლად.

ვ) შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო საგანგებო სიტუაციების ზონაში ორგანიზებას უკეთებს სავლე ოპერაციების ცენტრის ამოქმედებას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ტაქტიკურ დონეზე კოორდინირების მიზნით.

ზ) ორგანიზება უკეთდება შესაბამისად, ეროვნული, ავტონომიური რესპუბლიკის და სამხარეო დონეზე მუნიციპალიტეტების ძალებისა და რესურსების მობილიზებასა და გაგზავნას საგანგებო სიტუაციების ზონაში.

4. საგანგებო დახმარების ფუნქცია №3-ის ამოცანები იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:

ა) **კოორდინირება** - გულისხმობს საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზების უზრუნველყოფისათვის ძირითადი ღონისძიებების შემუშავებას, მათი განხორციელების კოორდინირებასა და შესაბამისი საინფორმაციო ბაზის შექმნას;

ბ) **თავშესაფარი** - გულისხმობს ტერიტორიის შერჩევას, წინასწარ იდენტიფიცირებული თავშესაფრების გამოყოფას, არსებული ფონდის ფარგლებში. ასევე დროებითი თავშესაფრის (სავლე კარვებით) ნაგებობების შექმნასა და საგანგებო სიტუაციების ზონაში არსებული იმ თავშესაფრების გამოყენებას, რომლებიც არ არის დაზიანებული;

გ) **კვება** - ევაკუირებული მოსახლეობის სურსათით და სასმელი წყლით უზრუნველყოფა ხდება სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში, მობილური კვების პუნქტების მეშვეობით;

დ) **განთავსება** - საგანგებო დახმარების ფუნქცია №3-ის განთავსების სამუშაოების განხორციელების ამოცანებია:

დ.ა) იმ ფაქტორების გამოვლენა, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ განთავსების საკითხებს;

დ.ბ) დაზარალებულთა დროებითი განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

5. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი** - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს „ხმამალა მოლაპარაკე“ საშუალებით აღჭურვილი ავტომანქანებით მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას, აგრეთვე ევაკუაციის მარშრუტებზე და განსახლების ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ბ) **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო** - მონაწილეობს მოსახლეობის ევაკუაციის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების ადგილებში ხსნის სამედიცინო პუნქტებს და უზრუნველყოფს ჯანდაცვის პერსონალით.

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოები – ორგანიზებას უწევენ საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოსახლეობის ევაკუაციის საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - მოქალაქეებზე, რომელთაც საგანგებო სიტუაციების შედეგად დაკარგეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გასცემს შესაბამის საბუთებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ე) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო - ორგანიზებას უწევს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული პირების უსაფრთხო ზონაში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გადაყვანას.

ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა (სტუდენტთა) საევაკუაციო ღონისძიებების დაგეგმვას და ევაკუირებული მოსახლეობის კომპაქტურად განთავსების ადგილებში (კარვების ქალაქებში) დროებითი მოძრავი სკოლების ფუნქციონირებას.

ზ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - შეიმუშავებს და განახორციელებს დიპლომატიური კორპუსის საევაკუაციო ღონისძიებებს.

თ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი - საევაკუაციო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას.

მუხლი 12 . საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კოორდინირება

1. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კოორდინირება ფუნქცია №4:

ძირითადი უწყებაა	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.
მხარდამჭერი უწყებებია:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - „112“; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

	<p>კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი;</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; • საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • რეაგირების სამუშაოების განხორციელების კოორდინირება; • საძებნი, სამაშველო, ხანძრის ქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალების, რესურსებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; • საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სამაშველო ძალების ჩაბმის ორგანიზება.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვას ახორციელებს შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვას ახორციელებენ შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთობლივად.

გ) საზღვაო-სამაშველო სამუშაოების კოორდინირებას და განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დ) „საავიაციო შემთხვევების და ინციდენტების დროს საავიაციო ძებნა-შველის სამუშაოები ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით №734 „საავიაციო ძებნა-შველის რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

3. ოპერაციების კონცეფცია

საგანგებოს სიტუაციებზე რეაგირების მართვის სქემა გულისხმობს კატასტროფებზე რეაგირების სამ დონეს:

ა) პირველი დონე, როდესაც საგანგებო სიტუაციაზე პირველად რეაგირებას ახდენენ შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სახანძრო-სამაშველო რაზმი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. ამ შემთხვევაში:

ა.ა) რეაგირების პროცესში ჩართულია მუნიციპალიტეტები, შესაბამისი თემის/თემების სამაშველო რაზმები, მუნიციპალიტეტების ძალები და რესურსები, მუნიციპალიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების ძალები და საშუალებები;

ა.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველად რეაგირებას მიეკუთვნება: ოპერატიული სამაშველო მოქმედება, პირველადი სამედიცინო დახმარება, საგანგებო სიტუაციის ზონის შემოფარგვლა და იზოლირება, საგანგებო სიტუაციის ლოკალიზების სამუშაოები, ხანძრის ქრობის სამუშაოები და სხვ.;

ა.გ) პირველადი რეაგირების მიზნით ინფორმაცია შემოდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის

ტერიტორიულ დანაყოფში, რომელიც გადის საგანგებო სიტუაციის ზონაში. სამაშველო რაზმი სამაშველო ოპერაციების პარალელურად ახდენს სიტუაციის რეკონსტრუქციას. რეკონსტრუქციის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საგანგებო სიტუაციის ესკალაციის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს;

ა.დ) საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრი ორგანიზებას უკეთებს პირველი რიგის სამაშველო ღონისძიებებს, ინფორმაციას საგანგებო ვითარების, გატარებული ღონისძიებების შესახებ აწვდის შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამხარეო ტერიტორიულ დანაყოფის ხელმძღვანელს და შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას. თუ ადგილობრივი რეაგირების ძალები და რესურსები საკმარისი არ არის ოპერატიული ცენტრი ითხოვს დახმარებას;

ბ) მეორე დონე, როდესაც პროცესში ერთვებიან მხარეში არსებული: სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტები, დაზარალებული მუნიციპალიტეტის მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან სახანძრო-სამაშველო რაზმები, ავტონომიური რესპუბლიკის/სამხარეო საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, საგანგებო სიტუაციის მართვის პროცესს ხელმძღვანელობს მხარეში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომელიც კოორდინაციას უწევს მხარეში არსებულ ყველა რეაგირების ძალისა და რესურსების გამოყენებას კატასტროფაზე რეაგირების მიზნით. იგი, ამავე დროს, საგანგებო ვითარების, გატარებული ღონისძიებებისა და საჭირო დახმარებების შესახებ ინფორმაციას აწვდის შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებატაშორისო ოპერატიულ ცენტრს;

გ) მესამე დონე, შეესაბამება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნულ დონეს. ამ შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ოპერატიულ კოორდინირებას ახდენს შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებატაშორისო ოპერატიულ ცენტრი. რომელშიც გაერთიანებული არიან განვითარებული საგანგებო სიტუაციის სახეობის შესაბამისად, სხვადასხვა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილი პირები. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული რესურსები და ძალები არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციოდ, ცენტრი ამზადებს წინადადებებს საერთაშორისო დახმარებების შესახებ მოთხოვნებზე, რომელიც მიეწოდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, რომლის თანხმობის შემთხვევაშიც, საჭირო დახმარებების მოსაზიდად მოთხოვნის შესახებ სპეციალური ფორმით ეცნობება შესაბამის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ასევე, იმ სახელმწიფოებს, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი მემორანდუმები კატასტროფების დროს თანამშრომლობის შესახებ.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საუწყებატაშორისო ოპერატიული ცენტრი იწყებს საგანგებო დახმარების

ფუნქცია №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას რეაგირების მართვის დონეების მიხედვით.

5. ადგილობრივი და საველე დონე

ა) მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციის მართვის ოპერატიულ ცენტრს მოქმედებაში მოჰყავს საგანგებო მართვის შესაბამისი გეგმა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადგილობრივ დონეზე სახანძრო-სამაშველო და სათანადო მორეაგირე ფორმირებების ჩაბმას საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოებში.

ბ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №4-ის შესაბამისად, გაიცემა ოპერატიული ბრძანებები.

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო გამოყოფს უფლებამოსილ პირებს მუნიციპალიტეტების ოპერატიულ და საველე ოპერაციების ცენტრის დასაკომპლექტებლად.

დ) შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო საგანგებო სიტუაციების ზონაში ორგანიზებას უკეთებს საველე ოპერაციების ცენტრის ამოქმედებას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ტაქტიკურ დონეზე კოორდინირების მიზნით.

ე) ორგანიზება უკეთდება შესაბამისად, ეროვნული, ავტონომიური რესპუბლიკის და სამხარეო დონეზე მუნიციპალიტეტის ძალებისა და რესურსების მობილიზებასა და გაგზავნას საგანგებო სიტუაციების ზონაში.

ვ) საგანგებო სიტუაციების განვითარების შემდეგ მოსახლეობის გადარჩენის, სასიცოცხლო უზრუნველყოფისა და არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, ხორციელდება ძალებისა და საშუალებების ოპერატიული და მიზანმიმართული მობილიზება. ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს დამოუკიდებლად არ შეუძლია საგანგებო სიტუაციების დროს წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტა, ორგანიზება უკეთდება საერთაშორისო დახმარებების მოთხოვნას. საერთაშორისო ძალები და რესურსები განთავსდება საველე ოპერაციების ცენტრის ახლოს.

ზ) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოები, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების ფორმირებებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თ) მას შემდეგ რაც გამოყენებულ და ამოქმედებულ იქნება ყველა ხელთარსებული შესაძლებლობა და ამავდროულად საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება არაეფექტური რჩება, შესაბამისი მართვის დონის ოპერატიული ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას რეაგირების სამუშაოების შეწყვეტის ან დროებით შეჩერების შესახებ.

6. რეაგირების ღონისძიებები

ა) საქმენი, სამაშველო, საავარიო-სამაშველო, ხანძრის ქრობისა და აღდგენითი სამუშაოების, უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ბ) საგანგებო სიტუაციების დროს სამეზობლო, სამაშველო, საავარიო-სამაშველო, ხანძრის ქრობის და აღდგენითი სამუშაოების ძალებისა და საშუალებების გადანაწილება და მათი საქმიანობის ორგანიზება;

გ) დაზიანების მასშტაბების, დაზარალებულთა რაოდენობის, სამაშველო სამუშაოებისათვის აუცილებელი საინჟინრო და სპეციალიზებული ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრა და სამაშველო სამუშაოებში ჩაბმა;

დ) სხვა სახელმწიფოთა მაშველების მიღება და მათი განაწილება დაზიანებულ ტერიტორიებზე;

ე) დაზარალებულთათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამუშაოების ორგანიზება, სპეციალური ტექნიკის, ჯანდაცვის პერსონალის, მედიკამენტების რაოდენობის განსაზღვრა, მძიმე ავადმყოფების სხვა ქალაქებსა და სახელმწიფოებში ევაკუაციის შესაძლებლობის განსაზღვრა;

ვ) საგანგებო სიტუაციების მეორადი დამაზიანებელი ფაქტორების თავიდან აცილების ან/და ლოკალიზაციის მიზნით შესაბამისი ზომების მიღება.

7. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - საგანგებო სიტუაციების ზონებში ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და კრძალავს ავტოტრანსპორტის შესვლას, გარდა სპეციალური მანქანებისა, შემოფარგლავს და იცავს პერიმეტრს, აწარმოებს ბრძოლას მაროდორობის წინააღმდეგ;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - „112“ - უზრუნველყოფს შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის საგანგებო ინციდენტის ან/და სიტუაციის მოხდენის შესახებ ოპერატიული შეტყობინების მიწოდებასა და საინფორმაციო მხარდაჭერას;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - რეაგირების სამუშაოების შესრულებისას უზრუნველყოფს დაზარალებულთათვის პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანას, აგრეთვე მედიკამენტებით უზრუნველყოფას;

ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო - კოორდინირებას უწევენ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმული ძალების შესაბამისი ტრანსპორტით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონაში ინფრასტრუქტურის მდგრადობის შეფასებასა და სენსიტიურობის განსაზღვრას;

ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საგანგებო

სიტუაციების ზონაში შენობა-ნაგებობების მდგრადობის შეფასებასა და ვარგისიანობის განსაზღვრას;

თ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი - კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების, რეაგირების ძალების ფორმირების, ჯგუფებისა და სხვა მონაწილე უწყებების კავშირით უზრუნველყოფას;

ი) საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში ენერგომომარაგების კომუნიკაციებზე საავარიო-აღდგენითი ჯგუფების მუშაობას;

კ) მუნიციპალიტეტების ორგანოები - ახორციელებენ რეაგირების ღონისძიებებს;

ლ) საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება - მონაწილეობს საგანგებო სიტუაციების ზონაში სამაშველო სამუშაოებში, ორგანიზებას უკეთებს საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაბმული არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედებებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით.

მუხლი 13. სატრანსპორტო უზრუნველყოფა

1. სატრანსპორტო უზრუნველყოფა (ფუნქცია №5):

<p>ძირითადი უწყება</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.
<p>მხარდამჭერი უწყებებია:</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მეწარმეობის განვითარების სააგენტო; • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; • საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; • შპს „საქართველოს რკინიგზა“; • შპს „საქაერონავიგაცია“; • შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტები“. • მუნიციპალიტეტების ორგანოები
<p>მიზანი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო ძალებისა და სატრანსპორტო უზრუნველყოფის მზადყოფნის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სატრანსპორტო უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება; • საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საშუალებების მზადყოფნის

	<p>უზრუნველყოფა;</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება და დაცვის უზრუნველყოფა.
--	---

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციების სატრანსპორტო უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** სატრანსპორტო უზრუნველყოფის ღონისძიებებს განახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოები აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

2. პრევენცია

ა) სატრანსპორტო უზრუნველყოფა – ფუნქცია №5 მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების სატრანსპორტო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) სატრანსპორტო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სახეები და რაოდენობრივი მონაცემები, მათი სავარაუდო მასშტაბები და სატრანსპორტო უზრუნველყოფის სქემების მათ მიმართ მდგრადობა;

გ) საგანგებო სიტუაციების დროს დამაზიანებელი ზემოქმედების შედეგად საფრთხე ექმნება სატრანსპორტო უზრუნველყოფის სტაბილურობას. აუცილებელი შეიძლება გახდეს შეფერხებული სატრანსპორტო უზრუნველყოფის დროული აღდგენა. რეაგირების ძალები პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სატრანსპორტო საშუალებების აუცილებელი რაოდენობით.

3. სატრანსპორტო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები:

ა) საგანგებო სიტუაციებში სატრანსპორტო საშუალებების მოზიდვისა და მათ განაწილების წინასწარი დაგეგმვის კოორდინირება;

ბ) მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში სატრანსპორტო უზრუნველყოფის დაგეგმვაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება;

გ) რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების სატრანსპორტო უზრუნველყოფის ალტერნატიული სქემების შემუშავების ორგანიზება.

4. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოები უზრუნველყოფენ უფლებამოსილი პირების მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტების ოპერატიულ და საველე ოპერაციების ცენტრებში.

ბ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოები იწყებენ შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №5) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ბ.ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - სახმელეთო ტრანსპორტის საზღვაო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების საგანგებო შტაბები, რომელიც მოქმედებენ უწყებრივი საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფი.

გ) საგანგებო შტაბებმა შეიძლება მოითხოვონ დახმარება მხარდამჭერი უწყებებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №5-ის შესრულებას.

დ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №5-ს დახმარებას უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, რათა მოხდეს რისკების ანალიზი, შეფასება და დახმარების აღმოჩენა.

ე) რეაგირების პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის საზღვაო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოები აფასებენ თავიანთი კომპეტენციის გარგლებში არსებული სიტუაციისათვის სატრანსპორტო უზრუნველყოფის ხარისხსა და დონეს, დახმარების საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი მოთხოვნის დეკლარირებას.

5. საგანგებო შტაბების საქმიანობის ორგანიზება

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №5-ის ამოქმედებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების საგანგებო შტაბები.

ბ) საგანგებო შტაბი მოქმედებს უწყებრივი რეაგირების საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად.

გ) საგანგებო შტაბები კოორდინირებს სხვა სტრუქტურებთან, რათა მოამზადოს ინფორმაცია და რეკომენდაციები საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისათვის.

დ) საგანგებო შტაბი:

დ.ა) ატარებს კონსულტაციებს შესაბამის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან;

დ.ბ) აფასებს საგანგებო სიტუაციას, განსაზღვრავს საჭირო რესურსებს;

დ.გ) უზრუნველყოფს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში უფლებამოსილი პირის მივლინებას;

დ.დ) აწვდის ინფორმაციას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, მუნიციპალიტეტების ორგანოების ოპერატიულ ცენტრებს და სავლე ოპერაციების ცენტრებს;

დ.ე) საგანგებო დახმარების ფუნქცია №5-ის შესაბამისად, კოორდინირებას უკეთებს ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

6. ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგანგებო შტაბი საგანგებო დახმარების ფუნქცია №5-ის შესაბამისად, რეკომენდაციებს აძლევს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, რომელიც შესაბამისად, კოორდინაციას უწევს სავლე ოპერაციებს.

ბ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №5-ის განხორციელების მიზნით, სავლე ოპერაციების ცენტრში დანიშნული წარმომადგენელი უზრუნველყოფს კავშირს დამხმარე ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტის ოპერატიულ ცენტრთან.

7. სატრანსპორტო უზრუნველყოფის ღონისძიებები:

ა) საგანგებო სიტუაციების ზონიდან უსაფრთხო განთავსების ზონებში მოსახლეობის ევაკუაციისთვის საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების მობილიზება;

ბ) დაზარალებული მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ავტოტრანსპორტის მობილიზება;

გ) საგანგებო სიტუაციების ზონიდან უსაფრთხო ზონაში შესაბამისი ტრანსპორტით მატერიალური ფასეულობის გატანა;

დ) საავარიო-სამაშველო, სამიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ეფექტიანად შესრულებისათვის საინჟინრო ავტოტრანსპორტისა და ტექნიკის მობილიზების ხელშეწყობა;

ე) შესაბამისი ავტოტრანსპორტის მობილიზება ცხოველთა ევაკუაციისათვის.

8. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება

ა) სატრანსპორტო უზრუნველყოფა - ფუნქცია №5 მოიცავს საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების სატრანსპორტო უზრუნველყოფის ორგანიზებას, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით.

ბ) საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ზიანდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის სატრანსპორტო ქსელები, რომლის აღდგენა უნდა მოხდეს უმოკლეს ვადაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგანგებო სიტუაციის ზონაში საავარიო-სამაშველო, სამიებო-სამაშველო და აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი ფორმირებების სატრანსპორტო გადაადგილება.

გ) სახელმწიფო მართვის და მუნიციპალიტეტების ორგანოები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციის დროს დაზიანებული ან შეფერხებული სატრანსპორტო უზრუნველყოფის უმოკლეს ვადაში აღდგენის მიზნით, სატრანსპორტო კომპანიებს, სატრანსპორტო უზრუნველყოფის ფუნქციის მქონე სხვა ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება (სამუშაო ძალა, ტრანსპორტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - კოორდინირებას უწევს სატრანსპორტო უზრუნველყოფის სისტემას.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას და ევაკუაციის მარშრუტებზე უსაფრთხო გადაადგილებას.

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს სატრანსპორტო უზრუნველყოფის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საწარმოთა მართვის სააგენტო - აწვდის ინფორმაციას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების სატრანსპორტო საშუალებების შესახებ და ხელს უწყობს მათ მობილიზაციას.

ე) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი - განსაზღვრავს და შესაბამისად, აწვდის ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების დროს რეკომენდებული საავტომობილო გზებისა და მიმართულების მითითებით შესაძლებელი სქემების შესახებ.

ვ) „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს საჭიროებიდან გამომდინარე, ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად რესურსის მოძიებასა და შესაბამის უწყებებთან ერთად ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სქემების ფორმირების შემუშავებაში მონაწილეობას“.

ზ) შპს „საქართველოს რკინიგზა“ - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს საქართველოს რკინიგზის გამოყენებას მის ხელთ არსებული ძალებითა და საშუალებებით.

თ) შპს „საქაერონავიგაცია“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტები“ - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს საქართველოს საჰაერო სივრცეში და თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და

მესტიის აეროპორტების აფრენა-დაფრენის ზონაში საჰაერო მოძრაობის მომსახურებასა და ფრენის უსაფრთხოების დაცვას;

ო) მუნიციპალიტეტების ორგანოები - მუნიციპალური, საქალაქო სატრანსპორტო სამსახურების საშუალებით განახორციელებენ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებათა სატრანსპორტო უზრუნველყოფას.

მუხლი 14. სამედიცინო უზრუნველყოფა

1. სამედიცინო უზრუნველყოფა (ფუნქცია №6):

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
მხარდამჭერი უწყებები:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; • საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება; • საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; • სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების უზრუნველყოფა; • გარდაცვლილთა აღრიცხვა; • საგანგებო სიტუაციების ზონაში მოსახლეობის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების ორგანიზება; • განსაკუთრებით საშიში პათოგენებისაგან დაცვის უზრუნველყოფა; • სამედიცინო ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში ახორციელებს სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებების მართვას ეროვნულ, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი;

გ) ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

3. პრევენცია

ა) სამედიცინო უზრუნველყოფა - ფუნქცია №6 მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების სამედიცინო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას.

ბ) სამედიცინო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სახეები და რაოდენობრივი მონაცემები, მათი სავარაუდო მასშტაბები და საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგები, მათი თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი სამედიცინო ხასიათის პრევენციული ღონისძიებები, აუცილებელი ძალები და საშუალებები.

4. საგანგებო სიტუაციების სამედიცინო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები:

ა) ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

ბ) საგანგებო სიტუაციებისთვის სამედიცინო მარაგის შექმნის უზრუნველყოფა;

გ) შექმნილი სიტუაციიდან და სეზონურობიდან გამომდინარე მოსახლეობაში ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება - შესაბამისი მედიკამენტური საშუალებების გაცემა;

დ) მოსახლეობაში პროფილაქტიკური იმუნიზაციისა და მკურნალობის ჩასატარებლად საჭირო ვაქცინებისა და შესაბამისი სამედიცინო პრეპარატების მისაღებად განაცხადების მომზადება და წარდგენა შესაბამის ორგანოებში კანონმდებლობის შესაბამისად,);

ე) მეთოდური მითითებების შემუშავება ნაწლავთა მწვავე ინფექციის, ქოლერის, მუცლის ტიფის, შიგელოზის და განსაკუთრებით საშიში ინფექციების (შავი ჭირი, ყვავილი) წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ;

ვ) სეზონურობიდან გამომდინარე, ეპიდემიოლოგიურად საშიში დაავადებების გამოვლენა და მოსახლეობის პროფილაქტიკური იმუნიზაცია. მოსახლეობაში, იმუნიზაციისა და საერთო სიტუაციის შესაბამისად, ინფორმაციული განმარტებითი სამუშაოების შესრულება.

5. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შეტყობინების შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში.

ბ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №6) განხორციელებას. შესაბამისად, საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით ფუნქციონირებას იწყებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი.

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების მივლინებას მუნიციპალიტეტების ოპერატიულ ცენტრებსა და საველე ოპერაციების ცენტრში. საგანგებო სიტუაციების ზონაში მოქმედებას იწყებენ საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფები.

დ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბმა შეიძლება მოითხოვოს დახმარება მხარდამჭერი უწყებებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ის შესრულებას.

ე) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი მუდმივ კონტაქტზეა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებთან, რათა განისაზღვროს მიმდინარე სამედიცინო მოთხოვნები.

ვ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ს დახმარებას უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, რათა მოხდეს რისკების შეფასება და დახმარების აღმოჩენა.

ზ) რეაგირების პერიოდში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკისრება სამედიცინო უზრუნველყოფის ხარისხისა და ღონის შეფასების პირველადი პასუხისმგებლობა, ხოლო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ევალება შესაბამისი მოთხოვნის დეკლარირების უზრუნველყოფა.

6. ორგანიზება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბში

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ის ამოქმედებასა და მის კოორდინაციას ახორციელებს სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მოქმედებს დარგობრივი საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად.

ბ) პირველადი რეაგირება. საგანგებო სიტუაციების დროს დარგობრივი საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი ატარებს კონსულტაციებს შესაბამის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და განსაზღვრავს მოთხოვნებს შემდეგ სფეროებში:

ბ.ა) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და მოთხოვნების განსაზღვრა სამედიცინო უზრუნველყოფის სფეროში

ბ.ბ) მონიტორინგი. შესაბამის ორგანიზაციებს ევალებათ საგანგებო სიტუაციის ზონაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მონიტორინგი.

ბ.გ) სამედიცინო დახმარების პერსონალი. ხდება ჯანდაცვის პერსონალის დაკომპლექტება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბმა შესაძლოა მოიწვიოს ცალკეული სპეციალისტები, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით.

ბ.დ) სამედიცინო აღჭურვილობა და რესურსები. ეროვნული სტრატეგიული მარაგის გარდა რესურსები შეიძლება მოძიებულ იქნეს მხარდამჭერი უწყებებიდან, ასევე, საჭიროებისამებრ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებიდან.

ბ.ე) ავადმყოფთა ევაკუაცია. სამინისტროს მოთხოვნით ავადმყოფთა ევაკუაციის ღონისძიებებში მონაწილეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბ.ვ) მოსახლეობის, მედიკამენტების, ბიოლოგიური ნივთიერებების და სამედიცინო აღჭურვილობის უსაფრთხოება;

ბ.ზ) სისხლი და სისხლის პროდუქტები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სრულად ფლობს ინფორმაციას საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების (ე.წ. სისხლის გადასხმის სადგურების) შესახებ და მათთან ერთად განსაზღვრავს შესაბამისად, სისხლისა და მისი კომპონენტების მიმართ მოთხოვნებს.

ბ.თ) ჯანდაცვის პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ.ი) სამედიცინო კონსულტაცია, ტექნიკური დახმარება და თანადგომა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებებიდან დახმარება საშიში ნივთიერებების რისკის შესაფასებლად, სინჯების ასაღებად, პოპულაციის გამოკვლევის ჩასატარებლად და სხვ.

ბ.კ) ჯანმრთელობის დაცვა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს შესაბამისი დაწესებულებებიდან დახმარება საგანგებო სიტუაციის შემდგომი მენტალური ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შეფასებაში.

ბ.ლ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და ინფორმირება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიძლება დაავალოს შესაბამის ორგანიზაციებს დაავადებათა პრევენციის მიზნით მიაწოდონ ადგილობრივ მოსახლეობას სათანადო ინფორმაცია;

ბ.მ) დაავადებათა კონტროლი.

გ) გრძელვადიანი რეაგირება

გ.ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ს ფარგლებში ხდება საგანგებო სიტუაციის ზონის მუდმივი მონიტორინგი. განისაზღვრება სამედიცინო ხასიათის პრობლემები და მათი მასშტაბები, ამ მიზნით გამოიყენება ინფორმაცია მოწოდებული: საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ის დამხმარე უწყებებიდან, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტოდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან. შეიძლება საჭირო გახდეს საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ის შემსრულებელი ექსპერტების მონაწილეობა, რათა მათ მოახდინონ შექმნილი ვითარების ანალიზი და შეიმუშაონ რეკომენდაციები.

გ.ბ) სამედიცინო რეაგირების ჯგუფების აქტივაცია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს ჯანდაცვის

პერსონალის დაკომპლექტებას. საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ის დამხმარე ორგანიზაციებს ევალებათ სამედიცინო დახმარების ჯგუფების დაკომპლექტება.

გ.გ) სამედიცინო ტრანსპორტირების მოთხოვნის კოორდინირება. მასშტაბური სამედიცინო საგანგებო ვითარების დროს ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებები შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში საგანგებო შტაბი ახდენს მხარდამჭერ უწყებებთან ტრანსპორტირების მოთხოვნის კოორდინირებას.

გ.დ) სამედიცინო აღჭურვილობის შეძენის და მიწოდების კოორდინირება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან ერთად ახორციელებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო უზრუნველყოფისათვის საჭირო სტრატეგიული მარაგის პირველი რიგის მატერიალურ ფასეულობათა დაგროვებას, დაკომპლექტებას, გამოყენებისათვის მზაობას და მის პერიოდულ განახლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ.ე) მოქმედების შემდგომი მოხსენებები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახდენს საგანგებო სიტუაციის შემდგომ შეფასებასა და ანალიზს და აწვდის საუწყებოთაშორისო ოპერატიულ ცენტრს.

7. რეაგირების ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ის შესაბამისად, რეკომენდაციებს აძლევს საუწყებოთაშორისო ოპერატიულ ცენტრს, რომელიც შესაბამისად, კოორდინირებას უწევს საველე ოპერაციების ცენტრს.

ბ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №6-ის განხორციელების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი საჭიროების შემთხვევაში აგზავნის წარმომადგენლებს საგანგებო სიტუაციის ზონაში პირველადი რეაგირების ჯგუფთან ერთად.

გ) საგანგებო სიტუაციის ზონაში სანიტარულ-ჰიგიენური და ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო სამუშაოების ორგანიზება. სამედიცინო უზრუნველყოფა – ფუნქცია №6 მოიცავს საგანგებო სიტუაციის ზონაში გადარჩენილი მოსახლეობის და რეაგირების ძალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და საგანგებო სიტუაციის ზონაში სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზებას. იგი იწყება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დასრულების ფაზაში ან მისი დასრულებისთანავე და გრძელდება საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში.

8. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებები:

- ა) სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- ბ) დაზარალებულთა დანიშნულების პუნქტში გაგზავნის ორგანიზება;
- გ) საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის ზონაში საველე ჰოსპიტლების გაშლა;
- დ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა, შემდგომი დიფერენცირებული საექიმო დახმარების აღმოჩენის საკითხის გადაწყვეტა;

ე) ტუბერკულოზური, ნარკოლოგიური, ფსიქონევროლოგიური, ინფექციური და ეპიდემიოლოგიურად საშიში ავადმყოფების, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დისპანსერული და სხვა საადრიცხვო ბარათებით განსაკუთრებული დაცვის ქვეშ აყვანა;

ვ) ეპიზოოტიური ზედამხედველობის უზრუნველყოფა - განსაკუთრებულად საშიში ინფექციების წარმოშობის ასაცილებლად პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება (საგანგებო სიტუაციების ზონის ეპიზოოტოლოგიური კვლევის ჩატარება და განსაკუთრებულად საშიში ინფექციების ლაბორატორიული გამოკვლევების განხორციელება);

ზ) ეპიდემიის სავარაუდო კერების გამოვლენა და მათი ლიკვიდაციისათვის გასატარებელი ღონისძიებების კოორდინირება;

თ) საგანგებო სიტუაციებისაგან დაზარალებულებისათვის პირველადი სამედიცინო და სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად სამედიცინო დაწესებულებების გადარჩენილი (შენარჩუნებული) სტრუქტურული ერთეულების გამოყენების ხარისხის შეფასება;

ი) ბიოლოგიური საგანგებო ვითარების შეფასება;

კ) პირველადი საექიმო (ამბულატორიული) და სასწრაფო დახმარების სამუშაო ბრიგადების ფორმირება და კოორდინირება;

ლ) განსაკუთრებულად მძიმე ავადმყოფების სხვა ქალაქებსა და სახელმწიფოებში ევაკუაციის შესაძლებლობის განსაზღვრა და ორგანიზება;

მ) ავადმყოფთა კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა;

ნ) სამედიცინო უზრუნველყოფის ორგანოების სხვა უწყებებთან ურთიერთმოქმედების მექანიზმების დაზუსტება;

ო) აუცილებელ სამედიცინო ინვენტარსა და პრეპარატებზე, ადამიანთა რესურსებსა და სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრა, როგორც საკუთარი ქვეყნიდან, ისე სხვა სახელმწიფოებიდან;

პ) მოსახლეობის წინასწარი შეტყობინება სხვადასხვა სამედიცინო სამსახურის დისლოკაციის ან ადგილის შეცვლის შესახებ;

ჟ) ჯანდაცვის პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა.

9. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო** - საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და შედეგების ლიკვიდაციის მიზნით კოორდინაციას უწევს სამედიცინო დაწესებულებებს; მონაწილეობას ღებულობს საგანგებო სიტუაციის შედეგად გარდაცვლილთა სიკვდილის მიზეზების დოკუმენტირების, ფოტოგრაფირების და აღრიცხვის ორგანიზებაში;

ბ) **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი** - უზრუნველყოფს ავადმყოფების ტრანსპორტირების მარშრუტებსა და სასწრაფო დახმარების მანქანების დაუბრკოლებლად გადაადგილებას, კარანტინის ტერიტორიის იზოლირებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულებების დაცვას.

დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - აწარმოებს საგანგებო სიტუაციის შედეგად გარდაცვლილთა რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ე) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობას იღებს საგანგებო სიტუაციების ზონაში დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო და სასწრაფო დახმარების აღმოჩენაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ახორციელებს სურსათით, ცხოველის საკვები ნედლეულის და ფურაჟის კონტროლსა და ექსპერტიზას. აწეობს დაზიანების კერებში ფიტო და ვეტერინარულ კარანტინებს, წყვეტს ავადმყოფების სურსათით უზრუნველყოფის საკითხებს და დახმარების აღმოჩენის დროს წარმოქმნილ სხვა პრობლემებს.

ზ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური - უზრუნველყოფს სგპ-ებზე საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბების რეკომენდაციების შესაბამისად, და საუწყებათშორისო ოპერატიული ცენტრთან კოორდინირებაში სანიტარულ-საკარანტინო კონტროლის ღონისძიებებს სგპ-ებზე გადაადგილებული, საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და პირების მიმართ;

თ) საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება - უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებასა და დაზარალებულთა სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე საველე ჰოსპიტალის მოწყობას.

მუხლი 15. დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა

1. დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა (ფუნქცია №7):

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
მხარდაჭერი უწყებები:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • საგანგებო სიტუაციებში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების კოორდინირება; • ჰუმანიტარული ღონისძიებების მხარდაჭერა; • საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების კოორდინირება და მათში მონაწილეობა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების დროს დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებების მართვას ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. იგი საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრთან თანამშრომლობით, წინასწარ შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უსაფრთხო ევაკუაციის მხარდაჭერას, ორგანიზებას უკეთებს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მოთხოვნისა და მიღების პროცედურებს.

3. პრევენცია

ა) დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა - ფუნქცია №7 გულისხმობს მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას. აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სახეობა და რაოდენობრივი მონაცემები, მათი სავარაუდო მასშტაბები და საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგები.

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის მიმართულებით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებებია:

ბ.ა) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პრევენციული და მზადდოვნის ღონისძიებების დაგეგმვა;

ბ.ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ძირითადი საოფისე და წარმომადგენლობების შენობების, ასევე საკომუნიკაციო და უსაფრთხოების სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება.

4. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში;

ბ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №7) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ბ.ა) სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფი;

გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს სათანადო დახმარება მხარდამჭერი უწყებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №7-ის შესრულებას;

დ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №7-ის განხორციელებისას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებას უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო;

ე) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს კრიზისული სიტუაციების მართვის ეროვნულ ცენტრს წარუდგენს მოხსენებას შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ.

5. დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფის ღონისძიებები

ა) ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციის დროს, როცა საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება ან მათი შედეგების ლიკვიდაციის ამოცანების გადაწყვეტა, აუცილებელია ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული არასამთავრობო და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის ძალები და რესურსები;

ბ) დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებებია:

ა) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე აკრედიტებული, ასევე სხვა ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური თანამდებობის პირებისა და პერსონალის, მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპების შემუშავება (შესაბამისი საგანგებო მართვის გეგმის შემუშავება);

დ) საგანგებო სიტუაციებში საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერა;

ე) ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული საგანგებო სიტუაციების დახმარების პროგრამების განხორციელებაში მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

6. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - უზრუნველყოფს ჰუმანიტარული დახმარების შესახებ მოთხოვნათა მომზადებას, საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის მიზნით განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე ჰუმანიტარული დახმარების რეზერვების განთავსების ადგილებს. იღებს და ანაწილებს ჰუმანიტარულ დახმარებას, კოორდინირებს უწევს საერთაშორისო სამაშველო ჯგუფების მიღებას და საგანგებო სიტუაციების ზონაში განაწილებას;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში ჰუმანიტარული

ტვირთების ტრანსპორტირების რეგულირებასა და უსაფრთხოებას, ევაკუაციაში მხარდაჭერას;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს ჰუმანიტარული ტვირთების შემოტანასა და გამარტივებული წესით განბაჟებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა

1. ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა (ფუნქცია №8):

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.
მხარდამჭერი უწყებები:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; • ტყის ხანძრების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება; • ტყის ხანძრებზე რეაგირების ორგანიზება; • საგანგებო სიტუაციების ზონამდე და ზონაში სახანძრო ტექნიკის გადაადგილების უზრუნველყოფა; • ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** ტყის ხანძრების დროს ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი მხარდამჭერ უწყებებთან ერთად;

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის ღონისძიებებს განახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი, სამინისტროს სისტემაში შემავალი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

3. პრევენცია

ა) ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა – ფუნქცია №8 მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება ტყის ხანძრების რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე, დამაზიანებელი ფაქტორების სახეები, რაოდენობრივი მონაცემები და სავარაუდო მასშტაბები, საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგები. მათი თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი პრევენციული ღონისძიებები, აუცილებელი ძალები და საშუალებები.

4. ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის დაგეგმვაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება;

ბ) მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და მომზადების ორგანიზება ტყის ხანძრების პრევენციულ საკითხებზე;

გ) ტყის მასივებზე ხანძარსაწინააღმდეგო მონიტორინგის და შესაძლო ტყის ხანძრებთან დაკავშირებული სახანძრო მოსალოდნელი ვითარებების პროგნოზირების წარმოება;

დ) ტყის ხანძრების მართვის პოლიტიკის ფორმირება და სამართლებრივი უზრუნველყოფის განვითარება;

ე) სატყეო ფონდის ტერიტორიების დარაიონება მათი წვადობის პოტენციალის და ტყის ხანძრების შესახებ შეტყობინებასა და მათ ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელ სუბიექტებთან დამოკიდებულების მიხედვით;

ვ) ტყის ხანძრების შესახებ შეტყობინებაში და ლიკვიდაციაში მოსახლეობის მოზიდვა და მათი მონაწილეობის ორგანიზება;

ზ) ტყეების ხანძრებისგან დაცვის ორგანიზების სამეცნიერო და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

თ) შრობადი (ხმობადი) და დეგრადირებადი ტყის მასივების ტერიტორიაზე ადვილად წვადი ტყის მასალის მარაგის მონიტორინგი და მისი აკუმულაციის პროცესის კონტროლი.

5. ოპერაციების კონცეფცია

ა) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №8) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ა.ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული უწყებრივი საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ა.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფი.

ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების ჩაბმას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში, ასევე მუნიციპალიტეტების ოპერატიულ და საველე ოპერაციების ცენტრებში.

გ) სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს დახმარება მხარდამჭერი უწყებებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №8-ის შესრულებას.

6. სამინისტროს საგანგებო შტაბი

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №8-ის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი.

ბ) საგანგებო შტაბი მოქმედებს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად.

7. ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ქმნის სპეციალურ სეზონურ სახანძრო-სამაშველო ფორმირებებს.

ბ) საგანგებო შტაბმა შეიძლება დანიშნოს წარმომადგენელი საველე ოპერაციების ცენტრში.

გ) საგანგებო შტაბი საგანგებო დახმარების ფუნქცია №8-ის შესაბამისად, აძლევს რეკომენდაციებს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, რომელიც შესაბამისად, კოორდინაციას უწევს საველე ოპერაციებს.

9. პირველადი რეაგირება

ტყის ხანძრების დროს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად, აკომპლექტებს საგანგებო შტაბს. იგი:

ა) აგზავნის პირველ მორეაგირე ძალებს (სეზონურ სახანძრო-სამაშველო ფორმირებებს) ხანძრის კერაში;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარუდგენს შეტყობინებას 2 საათის განმავლობაში;

გ) ამყარებს საკომუნიკაციო კავშირებს დამხმარე უწყებებთან;

დ) უზრუნველყოფს ხანძრის პირველადი ზიანის შეფასებას დადგენილი წესით.

10. გრძელვადიანი რეაგირება:

ა) საგანგებო ვითარების ხასიათისა და მასშტაბების შესაფასებლად ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი. გამოიყენება ინფორმაციის წყაროები:

ა.ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №8-ის მხარდამჭერი სამინისტროებიდან და ორგანიზაციებიდან;

ა.ბ) შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან;

ა.გ) ტერიტორიული ორგანოებიდან.

ბ) ხორციელდება ზარალის შეფასება დადგენილი წესის მიხედვით;

გ) კოორდინაცია უკეთდება ხანძრის შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას და მზადდება მოთხოვნები რესურსების დამატებით მოზიდვის შესახებ;

დ) სახანძრო რეაგირების პოტენციური სირთულის გამო, მდგომარეობამ შეიძლება მოითხოვოს საგანგებო დახმარების ფუნქცია №8-ის განხორციელებისას სათანადო ექსპერტების ჩაბმა, რათა მათ გააანალიზონ სიტუაცია თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და გასცენ შესაბამისი რეკომენდაციები.

ე) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ ამზადებს მოკლე ანგარიშს პრობლემების გამოვლენის, შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

11. ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებები:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო ძალებისა და საშუალებების მოზიდვა და ხელმძღვანელობა;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისათვის ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა;

გ) მოსახლეობის დროული შეტყობინება მოსალოდნელი საშიშროების შესახებ;

დ) ხანძარსაწინააღმდეგო მართვის სისტემისა და ქვესისტემების ორგანოების შექმნა და მათი მუშაობის კოორდინაცია;

ე) სახანძრო-სამაშველო და საძიებო-სამაშველო სამუშაოების შესრულება;

ვ) ხანძრის ქრობის ღონისძიებების უზრუნველყოფა;

ზ) სახანძრო ვითარების შეფასება, ხანძრის წარმოშობის თვალსაზრისით ყველაზე საშიში ობიექტების მდგომარეობის შეფასება;

თ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ყველა მოსამსახურის სადღეღამისო რეჟიმზე გადაყვანა, სარეზერვო ტექნიკის მზადყოფნაში მოყვანა და დაკომპლექტება;

ი) საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოდან მიღებული მითითებების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან შემოსული შეტყობინების თანახმად, სახანძრო-სამაშველო ბრიგადების მეშვეობით, ხანძრის ქრობის ღონისძიებების ორგანიზება;

კ) რეაგირების ძალების ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში ჩაბმა.

12. ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებები:

ა) საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოდან ან/და სხვა უწყებებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ზუსტდება წარმოქმნილი ხანძრის ადგილები, ხანძრის კერებთან მისასვლელი გზების მდგომარეობა;

ბ) ხანძრის კერებში ხანძრის ქრობის ღონისძიებების განხორციელება;

გ) სახანძრო-სამაშველო სამუშაოების შესრულება მიმართულია მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფის, ქონების გადარჩენისა და დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად;

ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებებში გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

დ) გზების ცუდი გამტარუნარიანობა და მათი შესაძლო ჩახერგვა;

ე) წყალშემკრები ჰიდრანტების შესაძლო გაუმართაობა;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში წყლის ასაღებად ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსატევის გამოყენება.

13. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება

ა) ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა – ფუნქცია №8 მოიცავს საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით;

ბ) საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოები მოიცავს ტყის ხანძრის გავრცელების ზონის მიმდებარე დასახლებულ ტერიტორიებზე სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებებს. ასევე, ტყის მასივების შემდგომი რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად ხელშემწყობი გადაუდებელი სამუშაოების ორგანიზებას.

14. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - უზრუნველყოფს სახანძრო ვითარების შეფასებას, აგრეთვე ხანძრების ზონებში მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების მხარდაჭერას. მონაწილეობს სპეციალური ტექნიკისა და ძალების გამოყენებით ხანძრის ქრობაში;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს სახანძრო ტექნიკის დაუბრკოლებლად გადაადგილებას, საგანგებო სიტუაციის ზონის საზღვრების დაცვას და საზოგადოებრივ წესრიგს;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში მონაწილეობს ცოცხალი ძალისა და საფრენი აპარატების გამოყენებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო - ორგანიზებას უკეთებენ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების, ხანძრის კერიდან

დაზარალებული მოსახლეობის გამოყვანისა და მატერიალური ფასეულობის გამოტანის ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ასევე, ადგილობრივი საჯარო ტრასის გამოყენებას;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია - მონაწილეობს ხანძრის ქრობის ღონისძიებებში, მათ შორის, საფრენი საშუალებების გამოყენებით;

ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების დროს საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო სასწრაფო დახმარების აღმოჩენას და დაზარალებულების გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებებში.

მუხლი 17 . ენერგომომარაგების უზრუნველყოფა

1. ენერგომომარაგების უზრუნველყოფა (ფუნქცია №9)

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.
მხარდამჭერი უწყებებია:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი. • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ენერგომომარაგების უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება; • საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; • ენერგომომარაგების ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციებში ენერგომომარაგების უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებები;

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებებს განახორციელებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საგანგებო შტაბი შესაბამისი მართვის ცენტრების მეშვეობით, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

3. პრევენცია

ა) ენერგომომარაგების უზრუნველყოფა - ფუნქცია №9 მოიცავს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე ორგანიზაციების მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შეტყობინების ღონისძიებების და მოსახლეობის დაცვის მიზნით ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) ენერგეტიკული ხასიათის საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სახეები და რაოდენობრივი მონაცემები, მათი სავარაუდო მასშტაბები და ენერგომომარაგების სისტემების მათ მიმართ მდგრადობა, აქედან გამომდინარე, საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგები. მათი თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი პრევენციული ღონისძიებები, აუცილებელი ძალები და საშუალებები;

გ) მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოწყობილობების მოსალოდნელი დაზიანების შედეგად შექმნილი საგანგებო სიტუაციისათვის შეიმუშავებს უსაფრთხოების საჭირო ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას;

დ) ახორციელებს ენერგეტიკის სფეროში საგანგებო სიტუაციების ვარჯიშებს სხვადასხვა დონეზე მზადყოფნის დასახვეწად;

ე) ატარებს ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგს, აკეთებს სათანადო დასკვნებს, საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად ამზადებს წინადადებებს და რეკომენდაციებს საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში ენერგეტიკის კომპლექსში შემავალი ორგანიზაციების მზადყოფნის შესახებ;

ვ) კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების დროს დარგის მდგრადი ფუნქციონირებისათვის დასახული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შესრულებას.

4. ენერგეტიკული ხასიათის საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებები

ა) საგანგებო სიტუაციების დროს საერთო სარგებლობის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა სტიქიის ზემოქმედების ან/და არაპროგნოზირებადად გაზრდილი გადატვირთვების გამო მწყობრიდან გამოდის, ფერხდება ელექტრომომარაგება და გაზომომარაგება. სამაშველო სამუშაოების წარმოების დროს ძალზე მაღალია ენერგომომარაგების ხაზობრივი ნაგებობების სერიოზული დაზიანების ალბათობა. იზრდება დამნაშავე ელემენტების მცდელობის ალბათობა განახორციელონ არასანქცირებული შეღწევა ენერგოქსელების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფაში, მონაცემთა გადაცემის საბანკო სისტემაში და ა.შ. ;

ბ) ენერგომომარაგების სისტემის საავარიო-აღდგენითი ბრიგადები თავისდროულად უნდა იყვნენ სათანადოდ აღჭურვილნი და მომზადებული საგანგებო სიტუაციების ზონაში სამუშაოების საწარმოებლად. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების ზონაში მწყობრიდან გამოსული საერთო სარგებლობის ენერგომომარაგების

ქსელების და მოწყობილობების ფუნქციონირების დროული აღდგენა, რათა მოსახლეობას აღუდგეს მინიმალური ენერგომომარაგება;

გ) ენერგომომარაგების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები არის სტრუქტურული და არასტრუქტურული;

დ) სტრუქტურული პრევენციული ღონისძიებები:

დ.ა) რისკის რუკების გათვალისწინებით, ქვეყნის ტერიტორიაზე ენერგეტიკის სფეროში ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, ენერგომომარაგების ობიექტების რაციონალური განთავსება და ამ ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის მედეგობისა და საიმედობის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზება;

დ.ბ) ენერგომომარაგების ქსელების და მოწყობილობების დუბლირების მიზნით საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების ორგანიზება;

დ.გ) საგანგებო სიტუაციებში სათადარიგო ენერგომომარაგების ტექნიკური საშუალებებისა და მოწყობილობების მარაგების შექმნის ორგანიზება.

ე) არასტრუქტურული პრევენციული ღონისძიებებია:

ე.ა) მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ენერგომომარაგების სისტემებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა;

ე.ბ) საგანგებო სიტუაციებიდან გამოწვეული ენერგომომარაგების სისტემებსა და ობიექტებზე შესაძლო საფრთხეების მონიტორინგი და პროგნოზირება;

ე.გ) საგანგებო სიტუაციებში ენერგეტიკის სფეროში ნორმატიული რეგულირების მუდმივი სრულყოფა და განვითარება;

ე.დ) ენერგომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით საგანგებო სიტუაციის მართვის ერთიანი სისტემის ფუნქციონირების გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმში ოპერატიულად გადაყვანის ღონისძიებების ორგანიზება.

5. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების შემდეგ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში;

ბ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №9) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ბ.ა) სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფი;

გ) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების მივლინებას მუნიციპალიტეტების ოპერატიულ ცენტრებსა და სავლელ ოპერაციების ცენტრებში;

დ) საგანგებო შტაბმა დამხმარე უწყებებიდან შეიძლება მოითხოვოს სათანადო დახმარება;

ე) რეაგირების პერიოდში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ეკისრება საინჟინრო უზრუნველყოფის ხარისხისა და ღონის შეფასების პირველადი პასუხისმგებლობა;

ვ) ენერგეტიკის დარგში ლიცენზირებული კერძო სამართლის იურიდიული პირები ჩაბმული არიან საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად საგანგებო სიტუაციების მართვის ყველა ოპერაციაში.

6. ორგანიზება სამინისტროს საგანგებო შტაბში

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №9-ის ამოქმედებასა და მის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საგანგებო შტაბი.

ბ) საგანგებო შტაბი მოქმედებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად;

გ) საგანგებო შტაბი კოორდინირებს სხვა სტრუქტურებთან, რათა მოამზადოს დროული და ზუსტი ინფორმაცია, რეკომენდაციები და რჩევები საგანგებო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით;

გ) ატარებს კონსულტაციებს შესაბამის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან;

დ) განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციებიდან მიყენებულ ზარალს ენერგეტიკის სფეროში;

ე) აფასებს საგანგებო სიტუაციას, განსაზღვრავს საჭირო რესურსებს;

ვ) უზრუნველყოფს ინფორმაციისა და რეკომენდაციების დროულ მიწოდებას;

ზ) უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში შექმნილ საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში უფლებამოსილი პირის მივლინებას;

თ) აწვდის ინფორმაციას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, მუნიციპალიტეტების ოპერატიულ და საველე ოპერაციების ცენტრებს;

ი) მონაწილეობს ზარალის დადგენის კვლევებში, რათა მომავალში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საერთო ზარალის რაოდენობა.

7. ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში

ა) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საგანგებო შტაბი საგანგებო დახმარების ფუნქცია №9-ის შესაბამისად, აძლევს რეკომენდაციებს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, რომელიც, შესაბამისად, კოორდინაციას უწევს საველე ოპერაციებს;

ბ) საგანგებო შტაბმა შეიძლება დანიშნოს წარმომადგენელი საველე ოპერაციების ცენტრში;

გ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №9-ის განხორციელების მიზნით, საგანგებო შტაბი გამოყოფს წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აღმოჩნდნენ საგანგებო სიტუაციის ზონაში პირველადი რეაგირების ჯგუფთან ერთად.

8. ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები

ენერგომომარაგების სფეროში საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების განხორციელება ეკისრება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, რომლის ამოცანებია:

ა) მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ენერგომატარებლებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა;

ბ) საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების უზრუნველყოფის მართვის ორგანოების სისტემისა და ქვესისტემების შექმნა და მათი მუშაობის კოორდინაცია;

გ) საავარიო-აღდგენითი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების შესრულება ენერგომომარაგების კომუნიკაციებსა და ქსელებზე;

დ) საგანგებო სიტუაციების დროს ზარალის მასშტაბების შეფასება, ყველაზე უფრო დაზარალებული რაიონებისა და უბნების განსაზღვრა, ქვეყნის ტერიტორიაზე და სხვა სახელმწიფოებიდან აუცილებელ მასალებსა და სპეციალისტებზე მოთხოვნების გაანგარიშება;

ე) ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი გაზისა და ნავთობის მაგისტრალებზე ავარიების შემთხვევაში საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულების ორგანიზება;

ვ) ნაკლებად დაზარალებული რაიონების ენერგომომარაგების აღდგენა;

ზ) თვითმმართველი ერთეულის სასიცოცხლო უზრუნველყოფის მიზნით დროებითი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

თ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ელექტროენერგიით ოპერატიული უზრუნველყოფა;

ი) საგანგებო სიტუაციების შედეგად ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანების სავარაუდო ადგილების განსაზღვრა (ნგრევის ზონებში);

კ) ქალაქის შიგნით დაზიანებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აღდგენა;

ლ) ქალაქის მომმარაგებელი მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზების და მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენების აღდგენა;

მ) დაზიანებული ელექტროქვესადგურების და გამანაწილებელი პუნქტების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სადგურების და გაზგამანაწილებელი პუნქტების აღდგენა;

ნ) ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე, მათ შორის, კაშხალსა და ჯებირებზე, გვირაბებზე, მილსადენებზე, წყალმიმღებებსა და წყალსაშვებებზე ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების ორგანიზება;

ო) სასიცოცხლო უზრუნველყოფის ობიექტებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ელექტროენერგიით და, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფა. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნულ ობიექტებამდე დროებითი ხაზობრივი ნაგებობების მოწყობა;

პ) საგანგებო სიტუაციებში ენერგომომარაგების ღონისძიებების ძალებისა და საშუალებების მოზიდვა და ხელმძღვანელობა.

9. მუნიციპალიტეტების ორგანოები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციების დროს დაზიანებული ენერგომომარაგების ქსელების ავარიული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის მიზნით, ენერგომომარაგების საწარმოებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება (სამუშაო ძალა, ტრანსპორტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ენერგომომარაგების ქსელების ავარიული მდგომარეობის სალიკვიდაციო სამუშაოების დაფინანსებისა და ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

9. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება

ა) ენერგომომარაგების უზრუნველყოფა - ფუნქცია №9 მოიცავს საგანგებო სიტუაციის ზონაში ენერგომომარაგების აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, შესაბამისი ორგანიზაციების მონაწილეობით;

ბ) ენერგომომარაგების აღდგენითი სამუშაოები ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში ან/და მისი დასრულებისთანავე. ეს სამუშაოები მოიცავს სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის, ასევე, გადარჩენილი მოსახლეობის და რეაგირების ძალების საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ენერგომომარაგების უზრუნველყოფის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებებს. ორგანიზება უკეთდება ენერგომომარაგების ქსელებისა და ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფას.

10. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა მართვის სფეროში კოორდინაციას უწევს ენერგომომარაგების უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებას. ახორციელებს საავარიო-აღდგენითი სამუშაოების მხარდაჭერას.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების სისტემის ობიექტების დაცვას.

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი - უზრუნველყოფს კავშირს საავარიო-აღდგენითი ძალების ქვედანაყოფებს შორის, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებთან, კრიზისის მართვის საუწყებოთაშორისო ოპერატიულ ცენტრთან.

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს ენერგომომარაგების სისტემაში საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა

1. მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა (ფუნქცია №10):

ძირითადი უწყება	• საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
------------------------	--

მხარდამჭერი უწყებებია:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება; • მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; • სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციების დროს მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მეშვეობით;

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** საგანგებო სიტუაციების დროს მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგანგებო შტაბი, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მეშვეობით, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

3. პრევენცია

ა) მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა – ფუნქცია №10 მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით სავარაუდო ეპიფიტოტიური და ეპიზოოტიური ზონები, დამავადებლის სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორები და საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგები.

მათი თავიდან აცილების მიზნით მცენარეთა და ცხოველთა დაცვის აუცილებელი ღონისძიებები, საჭირო ძალები და საშუალებები;

გ) საგანგებო სიტუაციების მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფისათვის გასატარებელი პრევენციული ღონისძიებებია:

გ.ა) ეპიფიტოტიური და ეპიზოოტიური ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

გ.ბ) სამედიცინო საშუალებების, მცენარეთა მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო პესტიციდების მარაგის შექმნის უზრუნველყოფა;

გ.გ) შექმნილი სიტუაციიდან და სეზონურობიდან (შემოდგომა-ზამთარი) გამომდინარე დამავადებელთა საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, შესაბამისი პრეპარატების გაცემა;

გ.დ) დასნებოვნებული ცხოველების გამოვლენა;

გ.ე) შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე (გაზაფხული-შემოდგომის) პერიოდში მავნებლის აფუთქარების საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, შესაბამისი პრეპარატის გაცემა;

გ.ვ) იმუნიზაციისა და პროფილაქტიკური მკურნალობის ჩასატარებლად საჭირო ვაქცინებისა და შესაბამისი პრეპარატების მისაღებად განაცხადების მომზადება და წარდგენა შესაბამის ორგანოებში (არსებული ნორმატივების თანახმად);

გ.ზ) სეზონურობიდან გამომდინარე, დაავადებების გამოვლენა და მოსახლეობის იმუნიზაცია; მოსახლეობაში, იმუნიზაციისა და საერთო სიტუაციის შესაბამისად, განმარტებითი სამუშაოების შესრულება.

4. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №10) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ა.ა) სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ა.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფი;

ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში, მუნიციპალიტეტების ოპერატიულ ცენტრებსა და სავალე ოპერაციების ცენტრში;

გ) საგანგებო შტაბმა შეიძლება მოითხოვოს სათანადო დახმარება დამხმარე უწყებებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №10-ის შესრულებას.

5. ორგანიზება სამინისტროს საგანგებო შტაბში

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №10-ის ამოქმედებას და მის კოორდინირებას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგანგებო შტაბი;

ბ) საგანგებო შტაბი მოქმედებს წინასწარ შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად.

6. ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №10-ის განხორციელების მიზნით საგანგებო შტაბი გამოყოფს წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ

უნდა გაემგზავრონ საგანგებო სიტუაციის ზონაში პირველადი რეაგირების ჯგუფთან ერთად;

ბ) საგანგებო შტაბი, საგანგებო დახმარების ფუნქცია №10-ის შესაბამისად, აძლევს რეკომენდაციებს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, რომელიც შესაბამისად, კოორდინაციას უწევს საველე ოპერაციებს.

7. პირველადი რეაგირება

ა) საგანგებო სიტუაციების დროს საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწყებს საგანგებო შტაბის დაკომპლექტებას.

ბ) სამინისტროს საგანგებო შტაბი ატარებს კონსულტაციებს შესაბამის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და განსაზღვრავს მოთხოვნებს შემდეგ სფეროებში:

გ) ეპიზოოტიური და ეპიფიტოტიური (ან მავნებლების აფეთქარების) ვითარების შეფასება და მოთხოვნების განსაზღვრა;

დ) გრიპის ვირუსების გავრცელების შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებებისა და სალიკვიდაციო სამუშაოების კოორდინირება;

ე) აღჭურვილობა და რესურსები. ეროვნული სტრატეგიული მარაგის გარდა, რესურსები შეიძლება მოძიებულ იქნეს მხარდამჭერი უწყებებიდან, ასევე, საჭიროებისამებრ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებიდან;

ვ) ცხოველების ვაქცინაცია და მკურნალობა;

ზ) კონსულტაცია, ტექნიკური დახმარება და თანადგომა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს მხარდამჭერი უწყებებიდან დახმარება საშიში ნივთიერებების რისკის შეფასებაში, სინჯების აღებაში, ანალიზსა და პოპულაციის გამოკვლევაში;

თ) მოსახლეობის ინფორმირება. მოსახლეობის ინფორმირებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი;

ი) მკვდარი პირუტყვისა და ფრინველების უტილიზაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჭიროების შემთხვევაში, მხარდამჭერ უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს მკვდარი პირუტყვისა და ფრინველის უტილიზაციას.

8. გრძელვადიანი რეაგირება

ა) საჭიროა საგანგებო ვითარების სისტემატური შეფასება, ვეტერინარული ხასიათის პრობლემების მასშტაბების განსაზღვრა და მონიტორინგი. გამოიყენება ინფორმაციის წყაროები:

ა.ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №10-ის დამხმარე უწყებებიდან;

ა.ბ) შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან;

ა.გ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურიდან;

ა.დ) ტერიტორიული ორგანოებიდან.

ბ) ვეტერინარული რეაგირების პოტენციური სირთულის გამო შეიძლება მოითხოვოს საგანგებო დახმარების ფუნქცია №10-ის შემსრულებელი ექსპერტები, რათა მათ გააანალიზონ სიტუაცია თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და მოამზადონ შესაბამისი რეკომენდაციები.

9. ვეტერინარული რეაგირების ჯგუფების გააქტიურება. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ვეტერინარული პერსონალის დაკომპლექტებას. საგანგებო დახმარების ფუნქცია №10-ის დამხმარე უწყებებს ევალებათ ვეტერინარული დახმარების ჯგუფების მხარდაჭერა.

10. მოქმედების შემდგომი მოხსენებები. საგანგებო სიტუაციის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამზადებს ანგარიშს საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრისათვის, რომელშიც უნდა აისახოს ძირითადი პრობლემები, მათი შეფასება, ანალიზი და რეკომენდაციები.

11. საგანგებო სიტუაციების დროს მცენარეთა და ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ღონისძიებები

ა) საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.

ბ) საგანგებო სიტუაციების დროს მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ამოცანებია:

ბ.ა) საგანგებო სიტუაციების დროს ცხოველების საკვების საჭირო რესურსების გაანგარიშება და მარაგის შექმნის უზრუნველყოფა;

ბ.ბ) მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ბ.გ) საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების ზონებიდან პირუტყვის ევაკუაციის ორგანიზება;

ბ.დ) ეპიზოოტიური და ეპიფიტოტიური (ან მავნებლების აფეთქარების) მდგომარეობის კონტროლის უზრუნველყოფა, აგრეთვე მათი პრევენციის ზომების მიღება;

ბ.ე) ეპიზოოტიისა და ეპიფიტოტიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება.

12. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება

ა) მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა - ფუნქცია №10 მოიცავს საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების შემთხვევაში მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფას. ამ შემთხვევაში მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ორგანიზება ხდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, შესაბამისი ორგანიზაციების მონაწილეობით.

ბ) მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა აღდგენითი სამუშაოების დროს, ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში ან/და მისი დასრულებისთანავე. ეს სამუშაოები მოიცავს დაზიანებული ფლორისა და ფაუნის აღდგენითი პროცესების ხელშეწყობის

მიზნით, პირველი რიგის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას. ასევე, ორგანიზება უკეთდება მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფას, განმეორებითი რეციდივების თავიდან აცილების მიზნით.

13. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - ახორციელებს რისკების ანალიზს, შეფასებას და დახმარების აღმოჩენას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ტრანსპორტირების მარშრუტებზე უზრუნველყოფს ტრანსპორტის დაუბრკოლებლად გადაადგილებას;

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო - კოორდინირებას უწევენ ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

მუხლი 19. ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ფუნქცია №11):

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.
მხარდამჭერი უწყებებია:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; • საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • ქიმიური და რადიაციული საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება; • ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების ღონისძიებებში გამოსაყენებელი ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; • ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა; • საშიში ნივთიერებებისაგან დაცვის უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციების დროს ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** საგანგებო სიტუაციების დროს ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგანგებო შტაბი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

3. პრევენცია

ა) ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა - ფუნქცია №11 მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით, ქიმიური და რადიაციული საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) ქიმიური და რადიაციული საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სახეები, მათი სავარაუდო მასშტაბები და საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგების რაოდენობრივი მონაცემები. მათ შორის, დაღუპულთა და დაშავებულთა სავარაუდო რიცხვი;

გ) საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მომზადების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საფრთხის წინაშე არსებული მოსახლეობის რაოდენობა, სიმჭიდროვე, დაცულობა, რისკების მართვისა და უსაფრთხოების სფეროში მათი ცნობიერებისა და მზადყოფნის დონე, საგანგებო სიტუაციების ზონაში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძალები და საშუალებები.

4. ქიმიური და რადიაციული საფრთხეების პრევენციული ღონისძიებები

ა) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) საქართველოში მოქმედებს საწარმოები და ობიექტები, სადაც მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება ძლიერმოქმედი ტოქსიკური და რადიოაქტიური ნივთიერებების (მასალები) წარმოება, შენახვა და გამოყენება. საგანგებო სიტუაციის შედეგად ამგვარ ობიექტზე (საწარმოში) მომხდარმა ავარიამ შესაძლოა გამოიწვიოს მასობრივი მსხვერპლი და ობიექტის ტერიტორიის დაზინძურება, ასევე მისი გავრცელება

ობიექტის (საწარმოს) ფარგლებს გარეთ. აღნიშნული საგანგებო სიტუაციის განვითარების შემთხვევაში ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზედამხედველობასა და კონტროლს აწარმოებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები. ქიმიური და რადიაციული ხასიათის საგანგებო ვითარების შემთხვევაში სამინისტრო მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობით უზრუნველყოფს შემდეგ ღონისძიებებს:

გ) ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა:

გ.ა) ქიმიური ვითარების შეფასება პროგნოზირების საფუძველზე – ძლიერმოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და მასშტაბების განსაზღვრა;

გ.ბ) ქიმიური ვითარების შეფასების საფუძველზე ადამიანთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დასახვა, სამაშველო სამუშაოების შესრულების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინირება.

დ) რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა:

დ.ა) რადიოაქტიური ვითარების შეფასება პროგნოზირების საფუძველზე – რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და მასშტაბების განსაზღვრა;

დ.ბ) რადიოაქტიური ვითარების გამოვლენის დროს რადიოაქტიური დაბინძურების ზონების ფართობის და რადიოაქტიური ნივთიერების ტიპის განსაზღვრა. ამ მონაცემების საფუძველზე დაბინძურებული ჰაერის გავრცელების არეალის, ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების დროის, ადამიანთა შესაძლო დასნეობვების, ნაგებობების, ტექნიკის და ქონების დაბინძურების შეფასება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავების კოორდინირება;

დ.გ) რადიოაქტიური ვითარების შეფასების საფუძველზე ადამიანთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დასახვა, სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინირება;

დ.დ) მოსახლეობისა და უწყებების სამსახურების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფის ორგანიზება და ზედამხედველობა.

5. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში;

ბ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №11) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ბ.ა) სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფი;

გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების მივლინებას მუნიციპალიტეტების ოპერატიულ ცენტრებსა და საველე ოპერაციების ცენტრში;

დ) სამინისტროს საგანგებო შტაბმა შეიძლება მოითხოვოს დამხმარე უწყებებიდან დახმარება, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №11-ის შესრულებას.

6. ორგანიზება სამინისტროს საგანგებო შტაბში

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №11-ის ამოქმედებას და მის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი.

ბ) საგანგებო შტაბი მოქმედებს უწყებრივი საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად.

7. ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი საგანგებო დახმარების ფუნქცია №11-ის შესაბამისად, აძლევს რეკომენდაციებს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, რომელიც შესაბამისად, კოორდინირებას უწევს საველე ოპერაციებს.

ბ) საგანგებო შტაბმა შეიძლება დანიშნოს წარმომადგენელი საველე ოპერაციების ცენტრში.

გ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №11-ის განხორციელების მიზნით საგანგებო შტაბი გამოყოფს წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ შესაბამის ტერიტორიაზე პირველადი რეაგირების ჯგუფთან ერთად.

8. პირველადი რეაგირება

ა) შესაძლო ან მიმდინარე კატასტროფის დროს მოქმედებას იწყებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი.

ბ) საგანგებო შტაბი ატარებს კონსულტაციებს შესაბამის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და განსაზღვრავს მოთხოვნებს შემდეგ სფეროებში:

გ) ქიმიური და რადიაციული ვითარების შეფასება და მოთხოვნების განსაზღვრა;

დ) ქიმიური და რადიაციული მონიტორინგი. შესაბამის ორგანიზაციებს ევალებათ დაზიანების ტერიტორიაზე გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი.

ე) ქიმიური და რადიაციული დახმარების პერსონალი:

ე.ა) ხდება დამხმარე პერსონალის დაუყოვნებლივი გამოყოფა;

ე.ბ) შესაძლებელია საჭირო გახდეს მხარდამჭერი უწყებებიდან დახმარება დაზარალებულთა ევაკუაციის ან სხვა შესაბამის ღონისძიებაში;

ე.გ) სამინისტროს საგანგებო შტაბმა შესაძლოა მოიძიოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების სპეციალისტები.

ვ) აღჭურვილობა და რესურსები. ეროვნული სტრატეგიული მარაგის გარდა რესურსები შეიძლება მოძიებულ იქნეს მხარდამჭერი უწყებებიდან, ასევე, საჭიროებისამებრ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებიდან.

ზ) დაზარალებულთა ევაკუაცია;

თ) სურსათის დაცულობა და უსაფრთხოება;

ი) აგროკულტურების დაცულობა და უსაფრთხოება;

კ) მონაწილე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ლ) სამედიცინო კონსულტაცია, ტექნიკური დახმარება და თანადგომა. სამინისტრომ შეიძლება დახმარება სთხოვოს დამხმარე უწყებებს საშიში ნივთიერებების რისკის შეფასებაში, სინჯების აღებასა და ანალიზში.

მ) ჯანმრთელობის დაცვა. სამინისტრომ შეიძლება დახმარება სთხოვოს დამხმარე უწყებებს კატასტროფის შემდგომ მენტალური ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შეფასებაში.

ნ) მოსახლეობის ინფორმირება. სამინისტრომ შეიძლება დახმარება სთხოვოს დამხმარე უწყებებს შესაბამისი ინფორმაციის ადგილობრივ ორგანიზაციებისა და მოსახლეობისათვის მიწოდებაში.

ო) დაავადებათა კონტროლი. სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს დახმარება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სამსახურებისაგან იმ დაავადებათა შეფასებაში, რომელთა აფეთქების საფრთხეც არსებობს.

პ) წყლის გამოყენება. სამინისტრომ შეიძლება დახმარება სთხოვოს დამხმარე უწყებებს უზრუნველყონ წყლის უსაფრთხოება, მიიღონ საამისოდ აუცილებელი ზომები.

ჟ) ცხოველთა დაცვა. სამინისტრო მონაწილეობს საგანგებო დახმარების ფუნქცია №11-ის კოორდინაციით ცხოველთა დაცვის ღონისძიებებში.

9. გრძელვადიანი რეაგირება

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №11 გამუდმებით მოითხოვს საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო ვითარების შეფასებას. განსაზღვრავს შექმნილი პრობლემის ხასიათს და მასშტაბებს, ხორციელდება მონიტორინგი. გამოიყენება ინფორმაციის წყაროები:

ა.ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №11-ის დამხმარე უწყებებიდან;

ა.ბ) შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან;

ა.გ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურიდან;

ა.დ) ტერიტორიული ორგანოებიდან;

ა.ე) საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოდან.

ბ) ქიმიური და რადიაციული რეაგირების პოტენციური სირთულის გამო, შეიძლება მოითხოვოს საგანგებო დახმარების ფუნქცია №11-ის დამხმარე ექსპერტების მიწვევა, რათა მათ გააანალიზონ სიტუაცია, შეიმუშაონ და გასცენ შესაბამისი რეკომენდაციები.

გ ტრანსპორტირების მოთხოვნის კოორდინირება;

დ) სპეციალური აღჭურვილობის შეძენისა და მიწოდების კოორდინირება;

10. მოქმედების შემდგომი მოხსენებები.

საგანგებო შტაბი საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ ამზადებს ანგარიშს, რომელშიც შეტანილია პრობლემების ანალიზი და რეკომენდაციები.

11. ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების რეაგირების ღონისძიებები

ა) ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა:

ა.ა) ქიმიური ვითარების შეფასება ადგილზე უშუალოდ აღებული მონაცემების საფუძველზე – ძლიერმოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და მასშტაბების განსაზღვრა. მოსახლეობაზე, ობიექტებსა და სამაშველო ძალების საქმიანობაზე მათი გავლენის ანალიზი;

ა.ბ) ქიმიური ვითარების გამოვლენისას ქიმიური დაბინძურების კერების ზონების, ფართობისა და მომწამლავი ნივთიერებების ტიპის განსაზღვრა. ამ მონაცემების საფუძველზე დაბინძურებული ჰაერის გავრცელების არეალის ტერიტორიაზე და ტექნიკაზე მომწამლავი ნივთიერებების მედეგობის, დამცავი საშუალებების გამოყენების დროის, შესაძლო დასნებოვნების, ნაგებობების, ტექნიკის დაბინძურების შეფასება;

ა.გ) ქიმიური ვითარების შეფასების საფუძველზე ადამიანთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დასახვა, სამაშველო სამუშაოების შესრულების ღონისძიებების შემუშავება და დაბინძურების შედეგების ლიკვიდირება.

ბ) რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა:

ბ.ა) რადიაციული ვითარების შეფასება ადგილზე უშუალოდ აღებული მონაცემების საფუძველზე - რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და მასშტაბების განსაზღვრა. მოსახლეობაზე, ობიექტებისა და სამაშველო ძალების საქმიანობაზე მათი გავლენის ანალიზი;

ბ.ბ) რადიაციული ვითარების გამოვლენის დროს რადიაციული დაბინძურების ზონების ფართობის და რადიოაქტიური ნივთიერებების ტიპის განსაზღვრა. ამ მონაცემების საფუძველზე დაბინძურებული ჰაერის გავრცელების არეალის, ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების დროის, ადამიანთა შესაძლო დასნებოვნების, ნაგებობების, ტექნიკის და ქონების დაბინძურების შეფასება;

ბ.გ) რადიაციული ვითარების შეფასების საფუძველზე ადამიანთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დასახვა, სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ღონისძიებების შემუშავება და დაბინძურების შედეგების ლიკვიდირება;

ბ.დ) ტერიტორიის რადიაციული დაბინძურების პირობებში ადამიანთა ევაკუაციის ხელშეწყობა;

ბ.ე) რადიაციული დაზვერვის წარმოება, რადიაციული დაბინძურების დაწყების დროის დადგენა, რადიაციის დონის გაზომვა და აუცილებლობის შემთხვევაში, ბირთვული აფეთქების დროის განსაზღვრა;

ბ.ვ) დეზაქტივიზაციის (დეკონტამინაციის), მოსახლეობის, ტერიტორიების, შენობა-ნაგებობების, პროდუქტების, წყლისა და ტექნიკის სპეციალური დამუშავების განხორციელების ორგანიზება;

ბ.ზ) ქვეყნის შიდა და ასევე სხვა სახელმწიფოებიდან აუცილებელი რესურსების მოზიდვის და სპეციალისტთა შესახებ მოთხოვნილების განსაზღვრა.

12. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - ახორციელებს რისკების ანალიზს, შეფასებას და დახმარების

აღმოჩენას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში. მონაწილეობს დეზაქტივიზაციის (დეკონტამინაციის) და სხვა სპეციალური სამაშველო სამუშაოების შესრულებაში.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს რადიაციულად და ქიმიურად დაზინძურებულ ზონაში კარანტინის ტერიტორიის იზოლირებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას.

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – უზრუნველყოფს მატერიალური-ფასეულობის დაცვას.

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო – მონაწილეობს რადიაციული და ქიმიური დაზინძურების ზონების გამოვლენისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ე) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – უზრუნველყოფს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანასა და მკურნალობას.

ვ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ახორციელებს რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების სფეროში სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებებს.

ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო – კოორდინირებას უწევენ ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

მუხლი 20. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (ფუნქცია №12):

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი.
მხარდამკერი უწყებებია:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინირება; • ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა;

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი.

ბ) ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას ხელმძღვანელობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

3. მზადყოფნა

ა) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა - ფუნქცია №12 მოიცავს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მზადყოფნის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რიკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგების (როგორც პირდაპირი, ისე მეორადი - ხანძარი, მოწამვლა, მეწყერი და სხვ.) რაოდენობრივი მონაცემები;

გ) საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მომზადების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საფრთხის წინაშე არსებული მოსახლეობის რაოდენობა, სიმჭიდროვე, დაცულობა, რისკების მართვისა და უსაფრთხოების სფეროში მათი ცნობიერებისა და მზადყოფნის დონე, საგანგებო სიტუაციების ზონაში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძალები და საშუალებები.

4. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მზადყოფნის ძირითადი ღონისძიებებია:

ა) საგანგებო სიტუაციისა და საომარი მოქმედებებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით საჭირო რესურსების განსაზღვრა და მათი შენახვისა და დაგროვების ორგანიზება. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების დაგეგმვის კოორდინირება საგანგებო სიტუაციების მართვის ყველა დონეზე;

ბ) ქვეყანაში არსებული სპეციალური რეზერვების საწყობების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება;

გ) ქვეყანაში არსებული სპეციალური რეზერვების საწყობების განახლების მიზნით შესაძლო საგანგებო სიტუაციების რისკების შეფასება. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე არსებული მარაგების ოპტიმიზაცია და საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება.

5. ოპერაციების კონცეფცია

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი:

ა.ა) აფასებს საწვავის და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანებადობის ხარისხს, ასევე დახმარების მოთხოვნათა აუცილებლობას;

ა.ბ) კოორდინირებს სხვა სტრუქტურებთან, რათა მოამზადოს დროული და ზუსტი ინფორმაცია, რეკომენდაციები და რჩევები საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოსაფხვრელად.

ბ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №12-ის ამოქმედების შემდეგ შსს სსიპ - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აყალიბებს საგანგებო მართვის ჯგუფს და მოქმედებაში მოჰყავს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმა;

გ) დეპარტამენტი აფასებს ვითარებას, განსაზღვრავს საჭირო რესურსებს, ასევე ადგენს ზარალს.

დ) მონაწილეობს ზარალის მიტიგაციის კვლევებში, რათა მომავალში მინიმუმამდე შემცირდეს ზარალის რაოდენობა.

ე) საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს სათანადო უწყებებს ზარალის განსაზღვრაში.

6. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები

ა) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.

ბ) საგანგებო სიტუაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

ბ.ა) საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა;

ბ.ბ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო რესურსების განსაზღვრა;

ბ.გ) საგანგებო სიტუაციების ზონაში პირველადი მოხმარების ნივთებისა და სასიცოცხლო უზრუნველყოფის საშუალებების (კარები, თბილი ტანსაცმლის კომპლექტი, საბნები, ინდივიდუალური აფთიაქები და სხვ.) უზრუნველყოფის ორგანიზება;

ბ.დ) დაზიანების ზონებში, რეაგირების ძალების, შესაბამისად, ჩართული ტექნიკისათვის საწვავ-საპოხი მასალების მარაგების შექმნის ორგანიზება;

ბ.ე) დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პუნქტებზე და მათი დროებით განსახლების ადგილებში სურსათითა და პირველადი მოხმარების სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის მარაგების შექმნის ორგანიზება;

ბ.ვ) ევაკუირებული მოსახლეობისათვის სურსათისა და ნივთების მომარაგების მოძრავი პუნქტების შექმნის ორგანიზება;

ბ.ზ) დაზარალებული მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის ორგანიზება;

ბ.თ) დაზიანების კერაში არსებული სპეციალური რეზერვების საწყობების მდგომარეობის შეფასება;

ბ.ი) დაზიანების კერაში არსებული ნავთობგადამამუშავებელი ბაზებისა და ბენზინგასამართი სადგურების მდგომარეობის შეფასება და გამოყენება.

7. აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა - ფუნქცია №12 მოიცავს, აღდგენითი სამუშაოების მხარდაჭერის მიზნით, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზებას. აღნიშნული მხარდაჭერა ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში, ან/და მისი დასრულებისთანავე. ეს სამუშაოები მოიცავს სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებისას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ასევე გულისხმობს რეზერვების დაუყოვნებლივ, წინასწარ განსაზღვრულ აუცილებელ მინიმუმამდე შევსების მიზნით გასატარებელ პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას.

8. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - კოორდინირებას უწევს მატერიალურ-ტექნიკური რეზერვების მარაგების განაწილებას;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - ახორციელებს მატერიალური რესურსების ტრანსპორტირების დროს მოძრაობის მარშრუტებზე ტრანსპორტის დაუბრკოლებელი გადაადგილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას;

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო - ახორციელებენ საგანგებო სიტუაციების ზონაში მატერიალური რესურსების გადაადგილების საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით უზრუნველყოფის კოორდინირებას.

მუხლი 21. კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა

1. კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა (ფუნქცია №13):

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none">• საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.
მხარდამჭერი უწყებები:	<ul style="list-style-type: none">• საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო;

	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს ეროვნული ბანკი; • საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი.
<p>მიზანი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების დაცვის მიზნით მზადყოფნის ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; • კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; • კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების საევაკუაციო ღონისძიებების უზრუნველყოფა; • საგანძურისა და ფინანსური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციების დროს მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებისას მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების მართვას აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

3. მზადყოფნა

ა) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა - ფუნქცია №13 მოიცავს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის მზადყოფნის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე

დაყრდნობით საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგების (როგორც პირდაპირი, ისე მეორადი - ხანძარი, მოწამვლა, მეწყერი და სხვ.) ხასიათი და რაოდენობრივი მონაცემები;

გ) საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მომზადების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საფრთხის წინაშე კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ოდენობრივი და მოცულობის მახასიათებლები, დაცულობის ხარისხი, საგანგებო სიტუაციების ზონაში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძალები და საშუალებები.

4. კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის მზადყოფნის ღონისძიებები:

ა) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ღონისძიებების წინასწარ დაგეგმვა, რაც მოიცავს საევაკუაციო ორგანოების შექმნის ორგანიზებას და საგანგებო სიტუაციების ზონიდან კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის დაგეგმვას. ამ მიზნით: ევაკუაციისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის წინასწარ გაანგარიშებას და საევაკუაციო მარშრუტების შემუშავებას. ასევე, კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხო ზონებში განთავსების ობიექტების განსაზღვრას.

5. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში;

ბ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №13) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ბ.ა) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ბ.გ) საგანგებო სიტუაციის პირველადი რეაგირების ჯგუფი;

გ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს სათანადო დახმარება მხარდამჭერი უწყებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №13-ის შესრულებას;

დ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №13-ის ამოქმედებასა და მის კოორდინირებას ახორციელებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საგანგებო შტაბი;

ე) საგანგებო შტაბი საგანგებო დახმარების ფუნქცია №13-ის შესასრულებლად კოორდინაციას უწევს სავალე ოპერაციებს;

ვ) საგანგებო შტაბი გამოყოფს წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აღმოჩნდნენ საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო რეაგირების ჯგუფთან ერთად (სავალე ოპერაციების ცენტრში).

6. კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებები

ა) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ღონისძიებების წინასწარ დაგეგმვა;

ბ) ევაკუაციის ორგანიზებულად ჩასატარებლად იქმნება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების მოსამზადებელი, გაგზავნის და მიმღები პუნქტები;

გ) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფის ამოცანებია:

გ.ა) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვის ღონისძიებების გატარება;

გ.ბ) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების მომზადების, სპეციალური შეფუთვისა და დატვირთვის მიზნით ფორმირების მომზადება;

გ.გ) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ტრანსპორტირება საგანგებო სიტუაციების ზონებიდან;

გ.დ) კულტურული მემკვიდრეობის ევაკუაციისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების გაანგარიშება, საევაკუაციო მარშრუტების დაგეგმვა;

გ.ე) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების განთავსების ობიექტების განსაზღვრა, მათი უსაფრთხო განთავსებისა და დასაწყობების უზრუნველყოფა;

გ.ვ) რეკომენდაციების შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებასა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების საკითხებზე.

7. აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება

კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფა - ფუნქცია №13 მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების მუდმივი განთავსების ადგილებში უსაფრთხოდ დაბრუნებისა და დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით პირველი რიგის ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით.

8. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - დახმარებას უწევს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების განხორციელებაში.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - ევაკუაციის მარშრუტებზე, გამგზავნ და მიმღებ პუნქტებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვას.

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს მოძრავი ობიექტების ევაკუაციის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო - ორგანიზებას უკეთებენ საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოძრავი ობიექტების ევაკუაციისას უზრუნველყოფას საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით.

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკი - ორგანიზებას უკეთებს საქართველოს ეროვნულ ბანკში დაცული ფინანსური ფასეულობების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციას.

ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი მაუწყებელი - ორგანიზებას უკეთებს ისტორიული მნიშვნელობის ტელე-რადიო ჩანაწერებისა („ოქროს ფონდში“ დაცული აუდიო და ვიდეოფირები) და ეროვნული მნიშვნელობის სხვა ფასეულობათა უსაფრთხო ზონაში ევაკუაციას.

მუხლი 22. საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა

1. საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა (ფუნქცია №14):

ძირითადი უწყებაა	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.
მხარდამჭერი უწყებებია:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; • საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის მიზნით ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის ღონისძიებების მართვას ეროვნულ, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე;

ბ) ეროვნულ, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციების დროს საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის მართვას ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

3. ოპერაციების კონცეფცია (ოპერატიული რეაგირება)

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №14 ამოქმედების შემდეგ ფუნქციონირებას იწყებს საგანგებო შტაბი;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფენ უფლებამოსილი პირების მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში, მუნიციპალიტეტების ოპერატიულ ცენტრებსა და საველე ოპერაციების ცენტრში;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი მოითხოვენ დახმარებას სხვა უწყებებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფენ საგანგებო დახმარების ფუნქცია №14-ის შესრულებას;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ორგანიზებას უკეთებენ და ახორციელებენ საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის ღონისძიებებს.

4. საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები:

ა) ოპერატიული ცნობების მიხედვით ნგრევისა და დაზიანების მასშტაბების, ობიექტების მდგომარეობის განსაზღვრა, საჭირო ძალებისა და საშუალებების გაანგარიშება;

ბ) საპატრულო ჯგუფების გასვლა დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, პატრულირება უბნებზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სპეცმანქანების (სამედიცინო დახმარების, სახანძრო დაცვის, მაშველთა რაზმის) თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა, მაშველთათვის დახმარების გაწევა ადამიანთა ნანგრევებიდან გამოყვანის დროს;

გ) დაკარგული (ან მშობლებდაკარგული) ბავშვებისა და მოზარდების შესახებ შესაბამის საინფორმაციო ცენტრების ინფორმირება, დაკარგულ პირთა ძებნა;

დ) საპატრულო ჯგუფების მიერ მოქალაქეთა პირადი ქონების, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ქონების დაცვა;

ე) მოსახლეობის ევაკუაციის დროს ავტომანქანების კოლონების გაცილება. აუცილებლობის შემთხვევაში სპეცმანქანების (სამედიცინო, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების, მაშველების და სხვ.) გაცილება;

ვ) საგანგებო სიტუაციების ზონაში მოძრაობის ახალი მარშრუტების დადგენა, ქუჩების გადაკეტვა, ახალი საგზაო ნიშნების დაყენება;

ზ) ავტოსაგზაო შემთხვევების (ავარიები) უბნების ლოკალიზება;

თ) წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში, კერძოდ, ქალაქის შესასვლელებთან, მაგისტრალურ ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე სადღეღამისო საგუშაგოების ორგანიზება;

ი) საგანგებო სიტუაციების ზონაში ავტომანქანების შესვლის შეზღუდვა (აკრძალვა), გარდა სპეცმანქანებისა და შესაბამისი საშვების მქონე მანქანებისა;

კ) საგანგებო სიტუაციების დროს „ხმამაღლა მოლაპარაკე“ საშუალებით მოწყობილი ავტომანქანებით მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფა.

5. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის ღონისძიებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - დახმარებას უწევს რათა მოხდეს იმ ობიექტების, მარშრუტების, ავტოკოლონებისა და ტერიტორიების დაცვა, რომლებსაც საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს პრიორიტეტული და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება.

მუხლი 23. ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფა

1. ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფა (ფუნქცია №15):

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none"> რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი).
მხარდამჭერი უწყებებია:	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების განხორციელების კოორდინირება; საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საინჟინრო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; სატრანსპორტო უზრუნველყოფა; საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა; ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და სისტემების ურთიერთქმედების უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციების დროს ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების მართვას ახორციელებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად.

3. პრევენცია

ა) ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფა - ფუნქცია №15 მოიცავს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას.

ბ) ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით და შენობების, გზების, გვირაბების, ხიდების, საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის სახეობის, რაოდენობის და მედეგობის (სეისმომედეგობის) გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციების ზონა, საგანგებო სიტუაციების სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სახეები, მათი სავარაუდო მასშტაბები და საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგების (როგორც პირდაპირი, ისე მეორადი - ხანძარი, მოწამვლა, მეწყერი და სხვ.) რაოდენობრივი მონაცემები. მათ შორის, დალუპულთა და დაშავებულთა სავარაუდო რიცხვი.

გ) საგანგებო სიტუაციების დროს სამინისტრო განსაზღვრავს ინფრასტრუქტურის და საავტომობილო გზების მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, გეგმავს ღონისძიებებს საავტომობილო გზების და ინფრასტრუქტურის მშენებლობის სფეროში საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით. სამინისტრომ საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით აუცილებლად უნდა განსაზღვროს საპროგნოზო მონაცემები: გზების, ხიდების (როგორც მალური ნაშენის, ისე გზის საფარის) და გვირაბების ნგრევის, ინფრასტრუქტურის მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების, მეორადი შედეგების გავრცელების შესაძლებლობის შესახებ.

4. საგანგებო მართვის დროს ძირითადი პრევენციული ღონისძიებები:

ა) მოსახლეობისა და ქონების დაცვის მიზნით, ინციდენტების, სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების თავიდან აცილება დაგროვებადი დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატიური შემცირებითა და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება;

ბ) საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მიხედვით შენობა-ნაგებობების დაპროექტება და მშენებლობა, არასაკმარისი მედეგობის შენობა-ნაგებობების შეცვლა უფრო მაღალი მედეგობის ნაგებობებით ან მათი გაძლიერება საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით, ტექნოლოგიური პროცესებისა და ძვირადღირებული მოწყობილობების საგანგებო სიტუაციებისაგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან დაცვის საინჟინრო-კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება;

გ) მასშტაბური სამრეწველო ავარიების თავიდან აცილება საწარმოო პროცესების ტექნოლოგიური უსაფრთხოებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო საიმედოობის ამაღლება;

დ) საგანგებო სიტუაციის რისკის დროულად გამოვლენა, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საგამოცდო და საპროექტო სამუშაოების ორგანიზება;

ე) დაზიანების კერებში საინჟინრო ვითარების შეფასება, გზების ყველაზე უფრო დიდი ნგრევების სავარაუდო რაიონების განსაზღვრა;

ვ) ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაგებობების, მათი ავარიულობის ხარისხისა და შესაძლო დაზიანებული რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების განსაზღვრა;

ზ) განსაზღვრა, თუ რომელი საგზაო ნაგებობები გამოვა მწყობრიდან და რომელი ნაგებობების ექსპლუატაციაა შესაძლებელი რისკის გარეშე;

თ) დასახლებული პუნქტების ინფრასტრუქტურის, მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების, საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობებისა და თავშესაფრების მდგრადი და უსაფრთხო უზრუნველყოფის ღონისძიებების განსაზღვრა;

ი) ინფრასტრუქტურის და საავტომობილო გზების, ქალაქთმშენებლობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მშენებლობის და საშენი მასალის წარმოების სფეროში საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა;

კ) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით საპროგნოზო მონაცემების: შენობა-ნაგებობების ნგრევის, მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანებადობის, მეორადი შედეგების გავრცელების შესაძლებლობის განსაზღვრა;

ლ) განსაზღვრა, თუ საგანგებო სიტუაციის შედეგად რომელი შენობა-ნაგებობები გამოვა მწყობრიდან, რომელი შენობებისა და ნაგებობების ექსპლუატაციაა შესაძლებელი რისკის გარეშე.

5. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში.

ბ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №15) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ბ.ა) სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფი.

გ) სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების მივლინებას მუნიციპალიტეტების ოპერატიულ და საველე ოპერაციების ცენტრებში.

დ) სამინისტროს საგანგებო შტაბმა შეიძლება მოითხოვოს მხარდამჭერი უწყებებიდან სათანადო დახმარება, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №15-ის შესრულებას.

ე) რეაგირების პერიოდში სამინისტროს ეკისრება ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ხარისხისა და დონის შეფასების პირველადი პასუხისმგებლობა, ხოლო დახმარების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მოთხოვნის დეკლარირების უზრუნველყოფა.

ვ) კერძო სექტორი ფლობს და განაგებს სამშენებლო ძალებისა და საშუალებების უმეტესობას, ამიტომ იგი სამინისტროსთან ერთად ჩაბმულია ყველა ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ოპერაციაში.

6. ორგანიზება სამინისტროს საგანგებო შტაბში

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №15-ის ამოქმედებასა და მის კოორდინაციას ახორციელებს სამინისტროს საგანგებო შტაბი.

ბ) საგანგებო შტაბი მოქმედებს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად.

გ) საგანგებო შტაბი კოორდინირებს სხვა სტრუქტურებთან, რათა მოამზადოს დროული და ზუსტი ინფორმაცია, რეკომენდაციები და რჩევები საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისათვის.

7. ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში

ა) სამინისტროს საგანგებო შტაბი რეკომენდაციებს აძლევს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, რომელიც შესაბამისად, კოორდინირებას უწევს საველე ოპერაციებს.

ბ) საგანგებო შტაბმა შეიძლება დანიშნოს წარმომადგენელი საველე ოპერაციების ცენტრში.

გ) საგანგებო დახმარების ფუნქცია №15-ის განხორციელების მიზნით საგანგებო შტაბი გამოყოფს წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ შესაბამის ტერიტორიაზე პირველადი რეაგირების ჯგუფთან ერთად.

8. ოპერატიული რეაგირება

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №15-ის გააქტიურების შემდეგ საავტომობილო გზებისა და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი ქმნის საგანგებო შტაბს და პირველადი რეაგირების ჯგუფს.

ბ) საგანგებო შტაბი:

ბ.ა) ატარებს კონსულტაციებს შესაბამის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან;

ბ.ბ) აფასებს საგანგებო სიტუაციას, განსაზღვრავს საჭირო რესურსებს;

ბ.გ) უზრუნველყოფს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში უფლებამოსილი პირის მივლინებას;

ბ.დ) ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ აწარმოებს მონიტორინგს და აწვდის ინფორმაციას საუწყებო-საზოგადოებრივ ოპერატიულ ცენტრს, მუნიციპალიტეტების ოპერატიულ და სავლელ ოპერაციების ცენტრებს;

ბ.ე) საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს სათანადო უწყებებს ზარალის განსაზღვრაში.

9. ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებები

საგანგებო სიტუაციების დროს ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებია:

ა) საგანგებო სიტუაციის ზონაში სტრატეგიული მნიშვნელობის საგზაო ნაგებობების მდგომარეობის შეფასება;

ბ) საინჟინრო, საავარიო-აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება ნგრევის ზონაში;

გ) გზებზე შესაძლო ჩამონაქცევების ადგილების განსაზღვრა, რომლებიც შეაფერხებს სატრანსპორტო მოძრაობას;

დ) სამშენებლო ტექნიკის მობილიზების განხორციელება;

ე) დაზიანების კერებში საინჟინრო ვითარების შეფასება, შენობებისა და ნაგებობების ყველაზე უფრო დიდი ნგრევების სავარაუდო რაიონების განსაზღვრა;

ვ) შენობებისა და ნაგებობების ტიპების, მათი სართულების, ავარიულობის ხარისხის, იქ დასაქმებული ან მცხოვრები ადამიანების რაოდენობისა და დაზიანებული რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების განსაზღვრა;

ზ) მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენები, კანალიზაცია, გაზომარაგება, ელექტრო და სატელეფონო კავშირის საკაბელო ხაზები) დაზიანების ან მწყობრიდან გამოსვლის უბნების განსაზღვრა;

თ) საგანგებო სიტუაციის ზონაში სასიცოცხლო მნიშვნელობის საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მდგომარეობის განსაზღვრა;

ი) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში არსებული დამცავი ნაგებობების შეფასება (კლასიფიკაცია, რამდენ კაცზეა გათვლილი და მათი მდგომარეობა);

კ) საინჟინრო, საავარიო-აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება ნგრევის ზონაში;

ლ) საკანალიზაციო წყლების მიწის ზედაპირზე გამოსვლისა და თავმოყრის ადგილებში შესაბამისი სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულება;

მ) ქუჩებში შესაძლო ჩამონაქცევების ადგილების განსაზღვრა, რომლებიც შეაფერხებს სატრანსპორტო მოძრაობას;

ნ) საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მოსახლეობის თავშესაფრებად გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრა.

10. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება

ა) ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფა - ფუნქცია №15 მოიცავს საგანგებო სიტუაციის ზონაში ინფრასტრუქტურის და სავტომობილო გზების აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთელ

ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ, მათი დარგობრივი დაქვემდებარებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, ორგანიზაციების მონაწილეობით;

ბ) ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში ან/და მისი დასრულებისთანავე. ეს სამუშაოები მოიცავს სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის. ასევე, გადარჩენილი მოსახლეობის და რეაგირების ძალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი ინფრასტრუქტურის ელემენტების აღდგენის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებებს;

გ) ორგანიზება უკეთდება კომუნალური სამსახურების ფუნქციონირების აღდგენას და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფას.

11. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - დახმარებას უწევს, რათა მოხდეს რისკების ანალიზი, შეფასება და დახმარების აღმოჩენა;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საავტომობილო გზებზე უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის ორგანიზებას;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - საინჟინრო ნაგებობების, კომუნიკაციების, სპეციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო მაგისტრალების, ენერგეტიკულ და საინფორმაციო სისტემებზე საგანგებო სიტუაციების დროს ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ორგანიზება;

ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო - საინჟინრო ნაგებობების, კომუნიკაციების, სპეციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო მაგისტრალების, ენერგეტიკულ და საინფორმაციო სისტემებზე საგანგებო სიტუაციების დროს ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ორგანიზება;

ვ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო - საინჟინრო ნაგებობების, კომუნიკაციების, სპეციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო მაგისტრალების, ენერგეტიკულ და საინფორმაციო სისტემებზე საგანგებო სიტუაციების დროს ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ორგანიზება;

ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი - ქვეყნის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის ნორმატიული რეგულაციებით სამრეწველო ობიექტებისა და დასახლებების რაციონალური განთავსების ორგანიზება;

თ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო - საგანგებო სიტუაციების საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას.

მუხლი 24. სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა

1. სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა (ფუნქცია №16):

ძირითადი უწყება	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
მხარდამჭერი უწყებები:	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო; • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; • საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • სასურსათო და წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება; • საგანგებო სიტუაციების დროს სასურსათო და წყლით უზრუნველყოფის ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; • სურსათისა და წყლის დაცვის უზრუნველყოფა.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციების დროს სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში მართვას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით;

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგანგებო შტაბი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან და მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთად;

3. მზადყოფნა

ა) სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა - ფუნქცია №16 მოიცავს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის მზადყოფნის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას;

ბ) სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. სცენარებში განსაზღვრული უნდა იქნეს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგების რაოდენობრივი მონაცემები;

გ) საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მომზადების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საფრთხის წინაშე არსებული მოსახლეობის რაოდენობა, სიმჭიდროვე, დაცულობა, რისკების მართვისა და უსაფრთხოების სფეროში მათი ცნობიერებისა და მზადყოფნის დონე, საგანგებო სიტუაციების ზონაში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სურსათისა და წყლის რესურსები.

4. სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის მზადყოფნის ძირითადი ღონისძიებები:

ა) საგანგებო სიტუაციაზე გამკლავების მიზნით სასურსათო რესურსებისა და მარაგის საჭირო ოდენობათა განსაზღვრა. შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის კოორდინირება საგანგებო სიტუაციების მართვის ყველა დონეზე;

ბ) ქვეყანაში არსებული სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის რეზერვების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება;

გ) ქვეყანაში არსებული სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის რეზერვების განახლების მიზნით, შესაძლო საგანგებო სიტუაციების რისკების შეფასება. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე არსებული მარაგების ოპტიმიზაცია და საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

5. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის მივლინებას საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრში.

ბ) საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწყებს შესაბამისი ღონისძიებების (ფუნქცია №16) განხორციელებას. შესაბამისად, ფუნქციონირებას იწყებს:

ბ.ა) სამინისტროს საგანგებო შტაბი, რომელიც მუშაობს სამინისტროში არსებული საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით;

ბ.ბ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ჯგუფი.

გ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების მივლინებას მუნიციპალიტეტების ოპერატიულ და სავალე ოპერაციების ცენტრებში.

დ) საგანგებო შტაბმა შეიძლება მოითხოვოს სათანადო დახმარება მხარდამჭერი უწყებებიდან, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს საგანგებო დახმარების ფუნქცია №16-ის შესრულებას.

6. ორგანიზება სამინისტროს საგანგებო შტაბში

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №16-ის ამოქმედებასა და მის კოორდინირებას ახორციელებს სამინისტროს საგანგებო შტაბი.

ბ) საგანგებო შტაბი მოქმედებს წინასწარ შემუშავებული დარგობრივი საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად.

7. ორგანიზება საგანგებო სიტუაციის ზონაში

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №16-ის განხორციელების მიზნით, საგანგებო შტაბი გამოყოფს წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ შესაბამის ტერიტორიაზე პირველადი რეაგირების ჯგუფთან ერთად.

ბ) საგანგებო შტაბი, საგანგებო დახმარების ფუნქცია №16-ის შესაბამისად, აძლევს რეკომენდაციებს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს, რომელიც შესაბამისად, კოორდინირებას უწევს საველე ოპერაციებს.

8. პირველადი რეაგირება

ა) საგანგებო სიტუაციების დროს დარგობრივი საგანგებო მართვის გეგმების შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგანგებო შტაბი ატარებს კონსულტაციებს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და განსაზღვრავს მოთხოვნებს შემდეგ სფეროებში:

ბ) ვითარების შეფასება და მოთხოვნების განსაზღვრა;

გ) მონიტორინგის წარმოება;

დ) სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა,

დ.ა) ხდება პერსონალის გამოყოფა;

დ.ბ) სამინისტრომ შესაძლოა მოიწვიოს სპეციალისტები კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით.

ე) რესურსები. ეროვნული სტრატეგიული მარაგის გარდა რესურსები შეიძლება მოძიებულ იქნეს მხარდამჭერი სამინისტროებიდან და ორგანიზაციებიდან.

ვ) უვნებლობა და უსაფრთხოება;

ზ) წყლის გამოყენება. სამინისტრომ შეიძლება მოითხოვოს დამხმარე უწყებებებიდან უვნებელი წყლით უზრუნველყოფა.

9. გრძელვადიანი რეაგირება

ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №16 გამუდმებით მოითხოვს საგანგებო სიტუაციის შემოწმებას ადგილზე. განისაზღვრება პრობლემების ხასიათი და მასშტაბები, ხორციელდება მონიტორინგი. გამოიყენება ინფორმაციის წყაროები:

ა.ა) საგანგებო დახმარების ფუნქცია №16-ის მხარდამჭერი უწყებებიდან;

ა.ბ) ესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან;

ა.გ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – სურსათის ეროვნული სააგენტოდან;

ა.დ) ტერიტორიული ორგანოებიდან.

ბ) შესაძლოა საჭირო გახდეს საგანგებო დახმარების ფუნქცია №16-ის შემსრულებელი ექსპერტების მოწვევა, რათა მათ გაანალიზონ სიტუაცია თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და შეიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები.

გ) მოქმედების შემდგომი მოხსენებები. საგანგებო შტაბი ამზადებს ანგარიშს საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრისათვის, რომელიც შეიცავს გამოვლენილ პრობლემებს და რეკომენდაციებს.

10. საგანგებო სიტუაციების დროს სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის რეაგირების ღონისძიებები:

ა) საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია უვნებელი სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ბ) სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭიროა:

ბ.ა) ორგანიზებულ იქნეს სავლელ კვების ბლოკების ფუნქციონირება;

ბ.ბ) საერთაშორისო ჰუმანიტარული და არასამთავრობო სექტორის ჩაბმა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში და შესაბამის ღონისძიებათა კოორდინირება;

ბ.გ) სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლი. სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკის შეფასება და მართვა;

ბ.დ) საგანგებო სიტუაციების მართვაში შესაძლებელია ჩაბმულ იქნენ საერთაშორისო ორგანიზაციები ეპიდემიის თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

ბ.ე) საგანგებო სიტუაციის დროს განხორციელებული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ მოთხოვნებს;

ბ.ვ) საგანგებო სიტუაციის ზონებში ორგანიზებული უნდა იქნეს სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობის ღონისძიებები.

11. აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება

სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა - ფუნქცია №16 მოიცავს აღდგენითი სამუშაოების მხარდაჭერის მიზნით სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის ორგანიზებას. აღნიშნული მხარდაჭერა ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში ან/და მისი დასრულებისთანავე. ეს სამუშაოები მოიცავს სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის პროცესის სურსათითა და წყლით უზრუნველყოფას. აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებისას სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა ასევე გულისხმობს რეზერვების დაუყოვნებლივ, წინასწარ განსაზღვრულ აუცილებელ მინიმუმამდე, შევსების მიზნით გასატარებელ პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებების განხორციელებას.

12. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო - მხარდაჭერას უწყევს წყლის მობილური რეზერვუარების უზრუნველყოფაში, სურსათისა და წყლის განაწილების ორგანიზებაში.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს სურსათის ტრანსპორტირების დროს მოძრაობის მარშრუტებზე ტრანსპორტის დაუბრკოლებელ გადაადგილებას.

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - უზრუნველყოფს სასურსათო რესურსების ტრანსპორტირების ორგანიზებას სახმელეთო ტრანსპორტით;

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო - უზრუნველყოფს სასურსათო რესურსების ტრანსპორტირების ორგანიზებას საზღვაო ტრანსპორტით;

ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო - უზრუნველყოფს სასურსათო რესურსების ტრანსპორტირების ორგანიზებას საჰაერო ტრანსპორტით;

ვ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს საგანგებო სიტუაციების ზონებში დაზარალებულთა სურსათით უზრუნველყოფაში, აგრეთვე სავიწრო კვების ბლოკების გაშლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება - უზრუნველყოფს წყლისა და სურსათით მომარაგების ავტონომიური სისტემის ფუნქციონირებას დროებითი საცხოვრებლების ადგილებზე.

მუხლი 25. საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა

1. საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა (ფუნქცია №17):

<p>ძირითადი უწყება</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.
<p>მხარდამჭერი უწყებები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი; • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო; ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი; • საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო; • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი);

	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; • საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
მიზანი:	<ul style="list-style-type: none"> • საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების განხორციელების კოორდინაცია; • აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; • საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სამაშველო ძალების ჩაბმის ორგანიზება.

2. ღონისძიებების შესრულების გადანაწილება

ა) **ეროვნულ დონეზე** საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების მართვას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.

ბ) **ავტონომიურ, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე** საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ერთობლივად.

3. აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება ეროვნულ დონეზე

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი იწყებს საგანგებო დახმარების ფუნქცია №17-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას რეაგირების მართვის დონეების მიხედვით. საგანგებო დახმარების ფუნქცია №17-ის შესაბამისად, გაიცემა ოპერატიული ბრძანებები.

ბ) ორგანიზება უკეთდება შესაბამისად, ეროვნული, ავტონომიური რესპუბლიკის და სამხარეო დონეზე მუნიციპალიტეტის ძალებისა და რესურსების მობილიზებასა და გაგზავნას საგანგებო სიტუაციების ზონაში.

4. აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება ადგილობრივ და საველე დონეზე

ა) მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციის მართვის ოპერატიულ ცენტრს მოქმედებაში მოჰყავს საგანგებო მართვის შესაბამისი გეგმა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადგილობრივ დონეზე საავარიო-აღდგენითი ფორმირებების ჩაბმას საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენით სამუშაოებში.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო გამოყოფს უფლებამოსილ პირებს მუნიციპალიტეტების ოპერატიულ და საველე ოპერაციების ცენტრების დასაკომპლექტებლად აღდგენითი სამუშაოების კოორდინირების მიზნით.

5. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოები:

ა) საგანგებო სიტუაციის ზონაში ნგრევის და გაზრდილი საშიშროების ცალკეული კერების ლოკალიზაცია;

ბ) კომუნალური და საწარმოო კომუნიკაციების ქსელებსა და ხაზებზე ავარიებისა და დაზიანებების აღმოფხვრა;

გ) მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფისათვის მინიმალურად საჭირო პირობების შექმნა;

დ) ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდისა და გაუსნებოვნების სამუშაოების ჩატარება;

ე) საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა;

ვ) კომუნალური სამსახურების ფუნქციონირების აღდგენა;

ზ) სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება;

თ) მოსახლეობის ფსიქოლოგიური დაცვისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ორგანიზება;

ი) საგანგებო სიტუაციის ზონაში ტერიტორიის სანიტარიული დამუშავება და გაწმენდა;

კ) ზღვრულად დასაშვები ნორმების დონემდე ტერიტორიის, ობიექტების, წყლის, სურსათის, ცხოველის საკვები ნედლეულისა და ცხოველის საკვების რადიოაქტიური და საშიში ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებისა და დასნებოვნების შემცირება დეზაქტივაციის, დეგაზაციის და დემერკურიზაციის, ხოლო საშიში ბიოლოგიური ნივთიერებებით დაბინძურებისა და დასნებოვნებისას დეზინფექციისა და დეტოქსიკაციის გზით.

6. ოპერაციების კონცეფცია

ა) საგანგებო სიტუაციის ზონაში შექმნილი საგანგებო ვითარების ანალიზის საფუძველზე საგანგებო სიტუაციებზე მართვის დონეების შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრები ორგანიზებას უკეთებენ საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენით სამუშაოებს. ინფორმაციას აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ აწვდის შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს. თუ ადგილობრივი რეაგირების ძალები და რესურსები საკმარისი არ არის საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრს სთხოვენ სათანადო დახმარებას.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული რესურსები და ძალები არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების წარმოებისათვის, საუწყებათაშორისო ცენტრი ამზადებს წინადადებებს საერთაშორისო დახმარებების შესახებ მოთხოვნებზე, რომელიც მიეწოდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, რომლის თანხმობის შემთხვევაშიც, საჭირო დახმარებების მოსაზიდად მოთხოვნის შესახებ სპეციალური ფორმით ეცნობება შესაბამის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ასევე, იმ სახელმწიფოებს, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი მემორანდუმები კატასტროფების დროს თანამშრომლობის შესახებ.

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი აგრძელებს საქმიანობას

საგანგებო დახმარების ფუნქცია №17-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას საველე ოპერაციების ცენტრი/ცენტრების მეშვეობით.

7. მხარდამჭერი უწყებების მონაწილეობა

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - კოორდინირებას უწევს საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენით სამუშაოებში ჩაბმული ძალების სახმელეთო ტრანსპორტით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო - კოორდინირებას უწევს საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენით სამუშაოებში ჩაბმული ძალების საზღვაო ტრანსპორტით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო - კოორდინირებას უწევს საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენით სამუშაოებში ჩაბმული ძალების საჰაერო ტრანსპორტით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონაში შენობა-ნაგებობების მდგრადობის შეფასებასა და ვარგისიანობის განსაზღვრას;

ე) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი - კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების, რეაგირების ძალების ფორმირებების, ჯგუფებისა და სხვა მონაწილე უწყებების კავშირით უზრუნველყოფას;

ვ) საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში ენერგომომარაგების კომუნიკაციებზე საავარიო-აღდგენითი ჯგუფების მუშაობას;

ზ) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი) - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში გზებზე და ინფრასტრუქტურის ობიექტებზე საავარიო-აღდგენითი ჯგუფების მუშაობას;

თ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი - საგანგებო სიტუაციების ზონებში ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და კრძალავს ავტოტრანსპორტის შესვლას, გარდა სპეციალური მანქანებისა; შემოფარგლავს და დაიცავს პერიმეტრს;

ი) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ორგანიზებას უკეთებს და მონაწილეობს მოსახლეობის ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური დაცვისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებში;

კ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მონაწილეობს საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენით სამუშაოებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.